

ბორჯ ცოროსი

ჩვენი
ფილანთროპია

ჩემი ფილანთროპია

ჭრაშ სოროსი


20

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ლია საზოგადოება საქართველო

© ფონდი „ლია საზოგადოება – საქართველო“, 2014 წ.

ჯორჯ სოროსის ესსე „ჩემი ფილანტროპია“ წიგნიდან
„ვეორჯ სოროსის ფილანტროპია: ლია საზოგადოების მშენებლობა“,
ჩაჟ სუდეტიკი

The Philanthropy of George Soros: Building Open Societies, Chuck Sudetic



მთარგმნელი: ერეკლე ურუშაძე

რედაქტორი: ანა ჭაბაშვილი

დიზაინერი: თორნიკე ლორთქიფანიძე

სტამბა: შპს „სეზანი“

პუბლიკაცია გამოიცა ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“
20 წლის ოუბილესთან დაკავშირებით.

ISBN: 978-9941-0-7175-1

ყველა უფლება დაცულია. ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“
ნერილობითი ნებართვის გარეშე რაიმე ფორმით ამ პუბლიკაციის ან
მისი რომელიმე ნაწილის რეპროდუქცია ან გავრცელება დაუშვებელია.

3 გოისტიცა ვარ და ეგოცენტრისტიც და სულაც არ მეუხერხულება ამის აღიარება. თუმცა ბოლო ოც-დათი წლის განმავლობაში ფართო ფილანთროპი-ული ქსელი შევქმნი – ღია საზოგადოების ფონდები – რომლის წლიური ბიუჯეტი ადრე დაახლოებით 500 მილ-იონი დოლარი იყო, ახლა კი მილიარდს უახლოვდება (1979 წლიდან დახარჯული მთლიანი თანხა დაახლოებით 8 მილ-იარდი დოლარია). ღია საზოგადოების ფონდების საქმიანობა მსოფლიოს ყველა კუთხეში ვრცელდება და საკითხების ისეთ ფართო სპექტრს მოიცავს, რომ თავადაც გაოცებული ვარ. ცხადია, მე არა ვარ ერთადერთი ეგოისტი და ეგოცენტრისტი, რადგანაც ადამიანების უმრავლესობა ასეთია. უბრალოდ, მე მზად ვარ, რომ ეს ვაღიარო. მსოფლიოში მრავალი ჭეშმარიტი ქველმოქმედია, მაგრამ მხოლოდ მათი მცირე ნაწილი ახერხ-ებს ისეთი სიმდიდრის მოხვეჭას, რომელიც ფილანთროპი-ისთვის არის აუცილებელი.

ფილანთროპიას ყოველთვის ეჭვის თვალით ვუყურებდი. ჩემი აზრით, ფილანთროპია არ არის ადამიანის ბუნებრივი თვისება, ამიტომ ხშირად ფარისევლობის წყაროა და მრავალ პარადოქსაც წარმოშობს. შემიძლია, რამდენიმე მაგალითი მოვიყვანო: ფილანთროპიის მიზანი სხვებისთვის სარგებლის მოტანა უნდა იყოს, მაგრამ ფილანთროპები მეტწილად საკუ-თარ სარგებელზე ფიქრობენ ხოლმე; ფილანთროპიის მიზანი ადამიანების დახმარება უნდა იყოს, მაგრამ ის ხშირად ადა-მიანებს დახმარებაზე დამოკიდებულებს ხდის და ქველმოქ-მედების ობიექტებად აქცევს; აპლიკანტები ფონდებს იმას



ეუბნებიან, რის გაგონებაც მათ სურთ, ხოლო შემდეგ იმას აკეთებენ, რაც თავად უნდათ.

რატომ ვუთმობ ჩემი სიმდიდრისა და ენერგიის ასეთ დიდ ნაწილს ფილანთროპიას, თუკი ფილანთროპიის მიმართ კრიტიკულად ვარ განწყობილი? ამ კითხვაზე პასუხი ნაწილობრივ ჩემს პირად გამოცდილებასა და ისტორიაში ძევს, აგრეთვე იმ კონცეპტუალურ ჩარჩოშიც, რომლითაც მთელი ცხოვრების მანძილზე ვხელმძღვანელობ, ნაწილობრივ კი უბრალო შემთხვევითობაა.

* * *

ჩემს ცხოვრებაზე ყველაზე დიდი გავლენა 1944 წელს გერმანიის მიერ უნგრეთის ოკუპაციამ მოახდინა. ებრაელი ვიყავი და იმ დროს 14 წელიც არ შემსრულებოდა. იოლად შეიძლებოდა, ჰოლოკოსტის მსხვერპლი გავმხდარიყავი ან ხანგრძლივი შედეგების მქონე ფსიქოლოგიური ტრავმა მიმელო, რომ არა მამაჩემი, რომელიც საფრთხეებს კარგად ხედავდა და სხვებზე უკეთ უმკლავდებოდა მათ. მამაჩემი მომზადებული შეხვდა მეორე მსოფლიო ომის ამბებს, რაღაც პირველი მსოფლიო ომის დროს რამდენადმე მსგავსი ისტორია გადახდა თავს.

მიყვარს მოყოლა, თუ როგორ ჩაეწერა იგი ავსტრია-უნგრეთის არმიაში მოხალისედ და როგორ ჩაუვარდა ტყვედ რუსებს. მათ ციმბირში გაგზავნეს, როგორც სამხედრო ტყვე-ტყვეთა პანაკში იგი ხელნაწერი ლიტერატურული უურნალის



რედაქტორი გახდა. უურნალს ფიცარზე აკრავდნენ და მას ასეც ეწოდებოდა – „ფიცარი“. სტატიების ავტორები ფიცრის უკან იკრიბებოდნენ და მკითხველების კომენტარებს ისმენდნენ. შინ დაბრუნებულმა მამაჩემმა ხელნაწერი გვერდები თან ჩამოიტანა და მახსოვს, როგორ ვათვალიერებდი მათ ბავშვობაში. „ფიცრის“ წყალობით იგი ძალზე პოპულარული გახდა და პატიმრების წარმომადგენლად აირჩიეს. როდესაც მეზობელი ბანაკიდან ტყვეთა ნაწილი გაიქცა, იმ ბანაკის პატიმართა წარმომადგენელი დახვრიტეს. მამამ გადაწყვიტა, არ დალოდებოდა, როდის განმეორდებოდა ეს მის ბანაკში, შეკრიბა ტყვების ჯგუფი და გაქცევა მოაწყო. შეკრეს ტივი და ოკეანეში გაცურვას აპირებდნენ, მაგრამ გეოგრაფია მაინც დამაინც კარგად არ იცოდნენ და იმაზე არ დაფიქრებულან, რომ ციმბირის ყველა მდინარე ჩრიდლოეთ ყინულოვან ოკეანეში ჩაედინება. როდესაც თავიანთ შეცდომას მიხვდნენ, ტივი დატოვეს და ტაიგის გავლით დაუბრუნდნენ ცივილიზაციას. გზად რუსეთის რევოლუციის ქაოსში მოჰყვნენ და თავს არაერთი შემზარავი ამბავი გადახდათ. ამ ამბავმა გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მისი ხასიათის ჩამოყალიბებაზე.

საბოლოოდ მამამ უნგრეთში ჩამოაღწია, მაგრამ შინ შეცვლილი დაბრუნდა. როდესაც არმიაში მოხალისედ ჩაეწერა, ამბიციური ახალგაზრდა იყო. რუსეთში თავს გადამხდარი ამბების შედეგად ამბიციები დაკარგა და ცხოვრებისგან მხოლოდ სიამოვნების მიღებალა უნდოდა. მისი ერთ-ერთი მთავარ სიამოვნებათაგანი ორი შვილის აღზრდა იყო. ამის გამო ძალიან კარგი მამა გამოდგა. სხვა ადამიანების დახმარება და მათთვის რჩევების მიცემაც უყვარდა, თანაც უცხოებთან ურთიერთობის დამყარებაც ეხერხებოდა. საკუთარ მოსაზრებებსა და



დაკვირვებებზე დიდი წარმოდგენა ჰქონდა, მაგრამ სხვა მხრივ წამდვილად არც ეგოისტი იყო და არც ეგოცენტრისტი.

როდესაც გერმანელებმა 1944 წლის მარტში უნგრეთის ოკუპაცია მოახდინეს, მამაჩემმა ზუსტად იცოდა, თუ რა უნდა ექნა. მიხვდა, რომ არანორმალურ დროში ვიმყოფებოდით და საფრთხე ემუქრებოდა ყველას, ვინც წორმალური წესებით ცხოვრობდა. მან ყალბი დოკუმენტები მოიპოვა არა მხოლოდ თავისი ოჯახის წევრების, არამედ ადამიანების უფრო ფართო წრისთვისაც. მათ, ვისაც ამის საშუალება ჰქონდა, ფულს – ზოგჯერ კარგა დიდ თანხას – ახდევინებდა, სხვებს კი უფასოდ ეხმარებოდა. მანამდე არასდროს მინახავს ასე გულმოდგინედ მომუშავე. ეს მისი ცხოვრების საუკეთესო მომენტი იყო. გადარჩენ როგორც მისი ოჯახის წევრები, ისე მათი უმრავლესობაც, ვისაც რჩევა მისცა და დაეხმარა.

გერმანული ოკუპაციის წელმა (1944) გადამწყვეტი გავლენა ჩემს ჩამოყალიბებაზეც მოახდინა. იმის ნაცვლად, რომ ბედს დავმორჩილებოდით, წინააღმდეგობას ვუწევდით ბოროტ ძალას, რომელიც ჩვენზე ბევრად ძლიერი იყო და გავიმარჯვეთ. ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და წარმოუდგენელი მასშტაბის უპედურება თავპრუდამხვევ თავგადასავლად აქცია.¹ ამ ამბავმა რისკის მაღა აღმიძრა და მამაჩემის ბრძნული რჩევების დახმარებით მასთან გამკლავება ვისწავლე – შესაძლებლობების ზღვრის დადგენა ამ

1 მამაჩემმა გამორჩეულად საინტერესოდ საკითხავი მემუარები დაწერა იმ თავგადასავლების შესახებ, რომლებიც 1944 წელს გამოვიარეთ. თივადარ სოროსი, *Masquerade: Dancing around Death in Nazi-Occupied Hungary* (New York: Arcade Publishing, 2011 and 2010).

ზღვარზე გადაუბიჯებლად. ნამდვილად მსიამოვნებს პირქუშ რეალობასთან შეჯახება და ერთი შეხედვით გადაუჭრელ პრობლემებთან შექიდებაც მიზიდავს. სხვებისთვის დახმარების გაწევა ყოველთვის კეთილ საქმედ მიმართდა, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში ამის შესაძლებლობა იშვიათად მეძლეოდა.

ომის მღელვარე თავგადასავლებსა და ომის შემდგომ პერიოდს უნგრეთში მოსაწყენი ცხოვრება მოჰყვა. ქვეყანა ოკუპირებული იყო რუსეთის არმიის მიერ და კომუნისტური პარტია თავის ძალაუფლებას ამყარებდა. ქვეყნიდან წასვლა მსურდა, რაც მამაჩემის დახმარებით მოვახერხე. 1947 წლის სექტემბერში ინგლისში გავემგზავრე სასწავლებლად.

ლონდონში ცხოვრებამ იმედი გამიცრუა. ჩვიდმეტი წლისას ფული ცოტა მქონდა და თითქმის არავის ვიცნობდი და ამიტომ მარტოსული და სევდიანი ვიყავი. კოლეჯის დამთავრება მაინც შევძელი, მაგრამ სასიამოვნო გამოცდილება ნამდვილად არ მიმიღია. ყველა სტუდენტს, ვისი მშობლებიც ინგლისში ცხოვრობდნენ, საგრაფოს საბჭოსგან სტიპენდიის მიღება შეეძლო. მე გამონაკლისი ვიყავი, რადგან ჩემი მშობლები ჩემთან არ იყვნენ. გაძლება და კოლეჯის დამთავრება იოლი არ ყოფილა, მაგრამ აუცილებელი იყო.

იმ როტულ პერიოდში ფილანთროპიასთან ორჯერ მომინია შეხება და ჩემი შემდგომი დამოკიდებულება ქველმოქმედების მიმართ სწორედ ამ ორმა შემთხვევამ განსაზღვრა. ლონდონში ჩასვლიდან მალევე ფინანსური დახმარებისთვის ებრაელ მეურვეთა საბჭოს მივმართე. უარი მითხრეს, რადგან



მათი წესები გულისხმობდა არა სტუდენტების მხარდაჭერას, არამედ იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც რაიმე ხელობას სწავლობდნენ. მოგვიანებით, როდესაც უკვე ლონდონის ეკონომიკის სკოლის სტუდენტი ვიყავი, შობას მატარებლის გამცილებლის სამუშაო ვიშოვე დროებით და ფეხი მოვიტეხე. საავადმყოფო ყავარჯინებზე შემდგარმა დავტოვე და ვიუიქრე, შეიძლება ეპრაელ მეურვეთა საბჭოსგან ფული მივიღო-მეთქი. ყავარჯინებით ორი სართული ავიარე და მათ დროებითი დახმარება ვთხოვე. თავისი მანტრა გაიმეორეს, რომლის თანახმადაც მხოლოდ შეგირდებს ეხმარებოდნენ, მაგრამ უარი მაინც ვერ მითხრეს. სამი ფუნგი მომცეს, რაც ერთ კვირასაც არ მეყოფოდა. ასე გრძელდებოდა რამდენიმე კვირის მანძილზე. ფულისათვის კიბეზე ასვლა მიწევდა ყავარჯინებით.

ამავე დროს, ჩემმა ოთახის მეზობელმა ჩემი ამბავი გაიგო და გადაწყვიტა, რომ ეპრაელ მეურვეთა საბჭოში მისულიყო და ეთქვა, მზად ვარ ხელობის შესასწავლადო. არც ერთ სამსახურში, რომელიც მათ უშოვეს, დიდხანს არ გაჩერებულა, მაგრამ ისინი მაინც აგრძელებდნენ მისთვის ფულის გადახდას. მოგვიანებით საწარმოო ტრავმების საბჭოში მოისურვეს ჩემი გაგზავნა, მაგრამ ვუთხარი, იქ ვერ მივალ, რადგან არა-ლეგალურად ვმუშაობ და ჩემი სტუდენტური ვიზის დაკარგვა არ მსურს-მეთქი. ეს ტყული იყო. რკინიგზაზე ჩემი დროებითი სამუშაო სრულიად ლეგალური იყო, მაგრამ მათ ეს არ იცოდნენ. ჩემს შესამოწმებლად სოციალური მუშაკი გაგზავნეს, მაგრამ მან ვერაფერი გაარკვია. ამრიგად, როდესაც შემდგომ დახმარებაზე უარი მითხრეს, გადავწყვიტე, რომ საკმარისი მორალური საფუძველი მქონდა იმისათვის, რომ საბჭოს თავ-



მჯდომარისთვის მიმეწერა მგზნებარე წერილი, სადაც ვამბობდი, თავს კი გავიტან, მაგრამ სევდას მგვრის იმაზე ფიქრი, რომ საბჭოს, რომლის თავმჯდომარეც თქვენ ბრძანდებით, არ სურს დახმაროს ახლაგაზრდა ეპრაელ სტუდენტს, რომელმაც ფეხი მოიტეხა და დახმარება სჭირდება-მეთქი. ამან სასურველი შედეგი გამოიღო. თავმჯდომარემ იზრუნა, რომ კვირაში სამი ფუნტი ფოსტით მიმეღო, რათა კიბეზე ასვლა აღარ დამჭირვებოდა. მას შემდეგ, რაც უყავარჯენებოდ სიარული დავიწყე და საფრანგეთის სამხრეთში ავტოსტოპით მოგზაურობაც მოვასწარი, თავმჯდომარეს მივწერე, თქვენი დახმარება აღარ მჭირდება-მეთქი და მადლობა გადავუხადე. მართალია, ფონდი მოვატყუე, მაგრამ ვფიქრობდი, ჩემი საქციელი მორალურად გამართლებული იყო, რადგანაც მათ ჩემი ამბავი შეისწავლეს და, წესით, თანახმა უნდა ყოფილიყვნენ, რომ დამხმარებოდნენ.

ფილანთროპიასთან მომდევნო შეხება იმ დროს მქონდა, როცა დღისით ვსწავლობდი, ღამლამობით კი ოფიციანტად ვმუშაობდი ღამის კლუბში. ჩემმა სასწავლო ხელმძღვანელმა ამის შესახებ რომ შეიტყო, კვაკერებს მიმართა, რომლებმაც კითხვარი გამომიგზავნეს. როდესაც კითხვარი შევავსე, მათ ორმოცი ფუნტის ჩეკი გამომიგზავნეს ყოველგვარი პირობის გარეშე. ამან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ვიფიქრე, ადამიანებს სწორედ ასე უნდა დახმარო-მეთქი. 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ მოვახერხე, რომ მილიონამდე ნიუ-იორკელ სკოლის მოსწავლეს, რომელთა ოჯახებიც სოციალურ დახმარებას ან კვების ტალონებს იღებდნენ, ყოველგვარი კითხვის გარეშე ორასი დოლარის ჩეკი მიეღო. ნიუ-იორკის შტატის სახელით ამ ხარჯების 20 პროცენტი

გავიღე, რათა შტატს ფედერალური მთავრობისგან ეკონო-
მიკის სტიმულირების პაკეტის ფარგლებში გრანტის მიღე-
ბის პირობა დაეკმაყოფილებინა. კვაკერების გულუხვობამ
უზარმაზარი შედეგი გამოიღო სამოცი წლის შემდეგ და ეს
კმაყოფილებით აღმავსებდა, მიუხედავად „ნიუ-იორკ პოს-
ტის“ თავდასხმებისა, რომელიც ამგვარ „სოციალურ მოწყ-
ალებას“ გმობდა.

კოლეჯის დამთავრების შემდეგ ცხოვრებაში ჩემი ადგი-
ლის პოვნა გამიჭირდა. ინგლისში რამდენიმე წარუმატებე-
ლი წამოწყების შემდეგ ნიუ-იორკში გადავსახლდი, სადაც
ჯერ ბირჟაზე აქციების გადამყიდველად, შემდეგ ფასიანი
ქალალდების ანალიტიკოსად და ინსტიტუციურ მოვაჭრედ,
ბოლოს კი ერთ-ერთი პირველი ჰექ-ფონდის მმართველად
ვმუშაობდი. იმ პერიოდში გამორჩეული ფილანთროპი არ
ვიყავი. ერთადერთი წამოწყება, რომელიც ხსენებად ღირს,
ცენტრალური პარკის აღდგენის მცდელობა იყო. ბროკერ
და ინვესტორ დიკ გილდერთან ერთად შევქმენი „ცენტრა-
ლური პარკის საზოგადოებრივი ფონდი“, მაგრამ ის განსა-
კუთრებით წარმატებული არ აღმოჩნდა. სხვა ორგანიზაციამ,
„ცენტრალური პარკის კონსერვაციამ“, პარკის ადმინისტრა-
ციასთან მჭიდრო სამუშაო ურთიერთობა დაამყარა და გაც-
ილებით დიდ პროგრესს მიაღწია პარკის აღდგენის მხრივ.
ჩემი ყველაზე დიდი მიღწევა ჩვენი ორგანიზაციის გაუქმება
და წარმატებულ ორგანიზაციასთან მისი შერწყმა იყო. ამ
პროცესის დროს აღმოვაჩინე, რომ საქველმოქმედო ორგანი-
ზაციებს თავისი ცხოვრება აქვთ, რომელიც მათი თავდაპირ-
ველი მისისგან განსხვავდება, და რომ საქველმოქმედო ორ-
განიზაციის შექმნა ბევრად ადვილია, ვიდრე მისი დაზურვა.

* * *

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ლონდონის ეკონომიკის სკოლაში ვსწავლობდი, ხოლო შემდეგ ნიუ-იორკში ცხოვრებისას, განვავითარე კონცეპტუალური ჩარჩო – რეფლექსიურობის თეორია – რომელიც ჩემთვის გზამკვლევად იქცა, როგორც ჰეჭ-ფონდის მართვისას, ისე მოგვიანებით, როდესაც ფულს ვხარჯავდი, როგორც ფილანთროპი. ვეცდები, მოკლედ შევავჯამო მისი ძირითადი კომპონენტები, რადგანაც მან მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში და მის გარეშე შეუძლებელია ჩემი, როგორც ჰეჭ-ფონდების მმართველისა და ფილანთროპის, კარიერის გააზრება.

ჩემი თეორიის მიზანი აზროვნებასა და რეალობას შორის კავშირის ახსნაა. ის ერთმანეთისგან განასხვავებს ადამიანებთან დაკავშირებულ ხდომილებებსა და ბუნებრივ მოვლენებს. მათ შორის განსხვავება ის არის, რომ პირველ კატეგორიას მოაზროვნე მონაწილეები ჰყავს, მეორეს კი – არა. ადამიანებთან დაკავშირებულ ხდომილებებში მონაწილეთა აზროვნება ორმაგ როლს ასრულებს: ადამიანები, ერთი მხრივ, ცდილობენ, გაიაზრონ სიტუაცია, რომელშიც მონაწილეობენ. ეს კოგნიტიური ფუნქციაა. მეორე მხრივ, მათი გადაწყვეტილებები სწორედ ამ გააზრებას ემყარება და ეს უკანასკნელი, ამრიგად, მათი ქმედებების საშუალებით გავლენას ახდენს მოვლენათა თანამიმდევრობაზე. ეს მიზეზობრივი, ან მანიპულაციური, ფუნქციაა. ეს ორი ფუნქცია აზროვნებასა და რეალობას ერთმანეთთან საპირისპირო მიმართულებებით აკავშირებს და შეხებაში მოდის ერთმანეთთან მაშინ, როდესაც ისინი ერთდროულად მიმდინარეობს. კოგნიტიური ფუნქციი-

ის ფარგლებში რეალობამ უნდა განსაზღვროს მონაწილეთა წარმოდგენები რეალობის შესახებ, მიზეზობრივი ფუნქცია კი გულისხმობს, რომ მონაწილეთა ქმედებები მოვლენების თანამიმდევრობას განაპირობებს. თუმცა ასე მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ რეალობა, რომლის გააზრებასაც კოგნიტიური ფუნქცია ცდილობს, დამოუკიდებელი მოცემულობაა, და არა მაშინ, როდესაც მოვლენების თანამიმდევრობა დამოკიდებულია მონაწილეთა წარმოდგენებზე რეალობის შესახებ. როდესაც ორივე ფუნქცია ერთდროულად ოპერირებს და ერთი ფუნქციის თითქოსდა დამოუკიდებელი ცვლადი მეორე ფუნქციის დამოკიდებული ცვლადია, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი ცვლადი არც ერთ ფუნქციას არ გააჩნია, ხოლო მისი არარსებობის პირობებში მკაფიო შედეგს არც ერთი ფუნქცია არ იძლევა: მონაწილეთა წარმოდგენები რეალობას არ შეესაბამება, ხოლო მათი გადაწყვეტილებების შედეგი მათი მოლოდინის შესაბამისი არ იქნება. ორი ფუნქციის შეჯახებას რეფლექსიურობას ვუწოდებ.

ამისგან განსხვავებით, ბუნებრივ მოვლენებს მოაზროვნე მონაწილეების ნაცვლად მხოლოდ გარე დამკვირვებლები ჰყავს. ამრიგად, არ არსებობს მანიპულაციური ფუნქცია, რომელიც კოგნიტიურ ფუნქციას ხელს შეუშლიდა. შედეგად, რეალობა დამოუკიდებელ კრიტერიუმს წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც გარე დამკვირვებლის მოსაზრებების შეფასება შეიძლება, ხოლო კოგნიტიური ფუნქცია მკაფიო შედეგებს იძლევა. ეს იმას კი არ გულისხმობს, რომ დამკვირვებლების მოსაზებები აუცილებლად სწორია, არამედ მხოლოდ იმას, რომ არსებობს დამოუკიდებელი კრიტერიუმი მათი განცხადებების სიმართლისა თუ სიზუსტის შესაფასებ-

ლად. დამოუკიდებელი კრიტერიუმის არსებობამ საბუნები-სმეტყველო მეცნიერებებს თვალსაჩინო შედეგების მიღწევის საშუალება მისცა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების წარმატებამ მეცნიერებს უბიძგა, რომ მათ ამგვარი მკაფიო შედეგებისთვის ადამიანების ქცევის შესწავლის დროსაც მიეღწიათ, მაგრამ მათი მცდელობები წარმატებული არ ყოფილა. დისკალინა, რომელმაც ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტ პროგრესს მიაღწია, გახლავთ ეკონომიკა, მაგრამ ამისთვის რომ მიეღწია, კვლევის საგნის მიმართ ძალადობა გამოიყენა. რეალობის შესწავლის ნაცვლად ეკონომიკამ შექმნა გარკვეულ პოსტულატებზე დამყარებული ჰიპოთეზური ჩარჩო. ეს მეთოდი ევკლიდემ შემოილო გეომეტრიის შესწავლისას, მაგრამ ევკლიდეს პოსტულატები, დედამიწის ზედაპირის სიმრუდის იგნორირების გამოკლებით, ძალზე ახლო იყო რეალობასთან, ეკონომიკა კი სულ უფრო და უფრო სცილდება რეალობას. აუცილებელი გახდა ევარაუდათ, თითქოს მონაწილეთა აზროვნებით გამოწვეული გაურკვევლობა არ არსებობს. ეკონომიკა თავდაპირველად სრულყოფილი ცოდნის ვარაუდს ემყარებოდა, საბოლოოდ კი რაციონალური მოლოდინის თეორიამდე მივიდა: გამოგონილ სამყარომდე, სადაც მონაწილეთა ვარაუდები ისეთი მომავლისკენაა მიმართული, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში დადგება, თუ მონაწილეთა მოსაზრებები მის გარშემო მოიყრის თავს. ამის ყველაზე ახლო ანალოგი შუა საუკუნეების თეოლოგიაა, რომლის ფარგლებშიც იმის შესახებ კამათობდნენ, თუ რამდენი ანგელოზი დაეტევა ნემსის წვერზე. მთელი ეს ეკონომიკური სისტემა 2008 წლის კრიზისის დროს დაიმსხვრა.

აქტორების გადაწყვეტილებები რეალობას კი არ ემყარება, არამედ რეალობის ინეტრიცეტაციას ამ აქტორების მიერ, რაც არასდროს არის ერთი და იგივე. ცოდნის მოპოვება შესაძლებელია – და საბუნებსმეტყველო მეცნიერებები ამის საუკეთესო მაგალითია – მაგრამ ცოდნა მთელ რეალობას ვერ მოიცავს, რადგან ადამიანი სამყაროს ნაწილია და როდესაც ამ სამყაროს გააზრებას ცდილობენ, უწევთ რეალობის გამარტივება: ანალოგიების, მეტაფორების, ჩარჩოების, გადაწყვეტილებების მიღების წესებისა და სხვა მსგავსი მეთოდების დახმარებით. ეს გამარტივება თავად ხდება რეალობის ნაწილი. შედეგად, რეალობა ყოველთვის უფრო კომპლექსური იქნება, ვიდრე ჩვენი წარმოდგენა მის შესახებ. მიუხედავად ამისა, ადამიანებს მოქმედების ვალდებულება აქვთ. რადგანაც სრულყოფილ ცოდნას არ ფლობენ, ცოდნასთან ერთად ისინი თავისი ემოციებითა და ილუზიებით ხელმძღვანელობენ და მათი ქცევა მოვლენების თანამიმდევრობას გაურკვევლობის ელემენტს სძენს. არასრულყოფილი ცოდნა ან შეცდომებისკენ მიღრეკილება გაურკვევლობის ერთადერთი მიზეზი არ არის, თუმცა მნიშვნელოვანი მიზეზია – განსაკუთრებით ადამიანების ქცევის შესწავლისას – და სოციალურ სიტუაციებს ბუნებრივი მოვლენებისგან განასხვავებს. ამ განსხვავებას ვუკავშირებ პრინციპს, რომელსაც „ადამიანური გაურკვევლობის პრინციპს“ ვუწოდებ.

რადგანაც სრულყოფილი ცოდნა მიუღწეველია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანების მცდარი წარმოდგენების ხარისხი და მასშტაბი. რაც უფრო ახლოა მათი ინტერპრეტაცია რეალობასთან, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ მათი გადაწყვეტილებების შედეგი ახლოს იქნება მათ

მოლოდინთან. ამ კრიტერიუმის მიხედვით შეცდომებისკენ მიღწეულებისა და რეზულუსიურობის – ჩემი კონცეპტუალური ჩარჩოს ორი საყრდენის – აღიარება დიდი ნაბიჯი იქნებოდა ადამიანების ქცევის გააზრების თვალსაზრისით.

სამწუხაროდ, კაცობრიობას ეს ნაბიჯი ჯერ არ გადაუდგამს. ნაცვლად ამისა, განმანათლებლობის ეპოქიდან მოყოლებული, იგი ცდილობს, რომ ცოდნას დაეუფლოს. სწორედ ამის შედეგად დაიწყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მეთოდების გამოყენება ადამიანების ქცევის კვლევისას. ეს ლოგიკური ნაბიჯი იყო, მაგრამ ამ მიმართულებით ძალიან შორს წავედით. ამას განმანათლებლობის შეცდომას ვუწოდებ.

განმანათლებლობა მიიჩნევდა, რომ გონება რეალობისგან დამოუკიდებლად არსებობს, როგორც ფარანი, რომელიც რეალობას ანათებს. რეალობისგან გონების განცალკევება სწორი იყო განმანათლებლობის ეპოქაში, როდესაც ამდენი რამ იყო აღმოსაჩინი: თავად დედამიწაც კი არ იყო სრულად შესწავლილი. ეს შეცდომა კი იყო, მაგრამ თვალსაჩინო შედეგები შვა. განმანათლებლობამ დაკვირვებები განაცალკევა იმ ფაქტებისგან, რომლებთანაც ისინი იყო დაკავშირებული და, ამრიგად, შესაძლებელია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარება. ეს მიღვომა გამოსადეგია ბუნებრივი მოვლენების, მაგრამ არა ადამიანების ქცევის შესწავლისას.

შეცდომებს, რომლებიც ღირებულ შედეგებს წარმოშობს, ნაყოფიერ შეცდომებს ვუწოდებ და ვფიქრობ, რომ ცივილიზაციები სწორედ ნაყოფიერ შეცდომებზეა აგებული. იმის

თქმა როდი მსურს, რომ ნებისმიერი ცოდნა მცდარია. მხოლოდ იმას ვგულისხმობ, რომ ჩვენი ცოდნა შეზღუდულია და როდესაც სამყაროს უკეთ შეცნობას ვესწრაფვით, ხშირად მეტის მიღწევას ვცდილობთ, ვიდრე ჩვენი შეზღუდული ცოდნით არის შესაძლებელი. სწორედ ეს შეემთხვა ეკონომიკის თეორიას. განვითრების ადრეულ ეტაპებზე მან ფასეული დაკვირვებები შვა, ხოლო მცდარ გზას მხოლოდ იმ პერიოდში დაადგა, როდესაც კოლეჯი დავამთავრე. ჩემი განათლება ჯონ მეინარდ კეინსის ნაშრომებს ემყარებოდა და ფრენ ნაიტის ფუძემდებლური წიგნი „რისკი, გაურკვევლობა და მოგეპაც“ წავიკითხე. მაკროეკონომიკის თეორეტიკოსებმა და ფინანსური სისტემების შემქნელებმა მოგვიანებით ეს წიგნი დაივიწყეს.

კოლეჯში სწავლისას ჩემი კონცეპტუალური ჩარჩო არ იყო ისე განვითარებული, როგორც დლესაა. თუმცა უკვე მქოდა ძირეული იდეები, რომლებიც მხოლოდ ეკონომიკაზე კი არ ვრცელდებოდა, არამედ პოლიტიკასა და, ზოგადად, ადამიანების ქცევაზეც. ჩემს აზროვნებაზე დიდი გავლენა მოახდინა ავსტრიაში დაბადებულმა ფილოსოფოსმა კარლ პოპერმა – თავდაპირველად თავისი წიგნით „ლია საზოგადოება და მისი მტრები“, ხოლო შემდეგ თავისი თეორიით სამეცნიერო მეთოდების შესახებ. საბაკალავრო კურსები ადრე დავასრულე და ხარისხის მიღებამდე ერთი წელი თავისუფალი მქონდა. ჩემს სასწავლო ხელმძღვანელად კარლ პოპერი ავირჩიე და მისთვის ერთი-ორი ესე დავწერე. კოლეჯის შემდეგ თავი უნდა მერჩინა, მაგრამ აზროვნებასა და რეალობას შორის არსებული რთული კავშირისადმი ინტერესი არ დამიკარგავს. კოლეჯის დამთავრებიდან რამდენიმე წლის შემ-

დეგ პოპერს წარვუდგინე ესე სახელწოდებით „ცნობიერების ტვირთი“. ეს ჩემი კონცეპტუალური ჩარჩოს პირველი ფორმულირება იყო და დღევანდლისგან დიდად არ განსხვავდებოდა, თუმცა კი სრული არ იყო.

ბიზნესში ჩემი კარიერა რთული გზით მიღიოდა მრავალი წარუმატებელი წამოწყებითა და შეცდომით, მაგრამ საბოლოოდ ერთ-ერთი პირველი ჰეჯ-ფონდის მმართველი გავხდი ნიუ-იორკში. ჰეჯ-ფონდის მართვა ისეთი საქმე იყო, რომელიც სხვა არაფრისტვის დროს არ მიტოვებდა. ეს საქმე 1969 წელს 3 მილიონი დოლარით დავიწყე. 1979 წლისთვის ფონდის კაპიტალმა 100 მილიონ დოლარს მიაღწია, რაც მეტნილად დაუნანილებელ შემოსავლებზე მოდიოდა. ამ თანხიდან დაახლოებით 40 მილიონი დოლარი ჩემი საკუთრება იყო. ვგრძნობდი, რომ ეს ფული საკმარისზე მეტი იყო ჩემი და ჩემი ოჯახისთვის. კრედიტებით დაფინანსებულ რისკიან პროექტებზე მუშაობა უზარმაზარ დაძაბულობას გულისხმობდა. ერთხელ ბრიტანეთის მთავრობის ახლად გამოშვებული ობლიგაციების ძალზე დიდი რაოდენობის შესყიდვას მოვაწერე ხელი ისე, რომ ამისათვის საჭირო დაფინანსებაზე წინასწარ არ მიზრუნია. ლონდონის სითის ერთი კუთხიდან მეორეში დავრბოდი, საკრედიტო ხაზს ვეძებდი და ლიდენჰოლ სტრიტზე მოძრაობისას ვიფიქრე, გულის შეტევა მეწყება-მეთქი. „ამ რისკზე გამარჯვების გულისთვის წავედი, – ვუთხარი ჩემს თავს, – მაგრამ, თუ ახლა მოვკვდი, იმ ქვეყნად დამარცხებული წავალ. ფულის საშოვნელად სიცოცხლის სასწორზე შეგდება უაზრობაა“. სწორედ მაშინ გადავწყვიტე, რომ ჩემი ფულით რაიმე ღირებული გამეკეთებინა და ფონდი შევქმენი. დიდხანს ვიფიქრე, რა იყო ჩემთვის მართლაც მნიშვნელოვანი. ჩემი საკმაოდ აბსტრაქტული კონცეპტუალური ჩარჩო-

თი ვიხელმძღვანელება და ღია საზოგადოების კონცეფციაზე შევჩერდი, რომელიც ამ ჩარჩოს ერთ-ერთი ქვაკუთხედია.

რამდენადაც ვიცი, ტერმინი „ღია საზოგადოება“ პირველად ფრანგმა ფილოსოფოსმა ანრი ბერგსონმა გამოიყენა წიგნში „ზნეობისა და რელიგიის ორი წყარო“. ერთი წყარო ტრაიბალური იყო და დახურულ საზოგადოებას შობდა, მეორე კი უნივერსალური და ღია საზოგადოებასთან იყო ასოცირებული. კარლ პოპერმა აღნიშნა, რომ ღია საზოგადოებები დახურულ საზოგადოებებად შეიძლება გადააქციონ უნივერსალურმა იდეოლოგიებმა, რომლებიც უზენაესი ჭეშმარიტების ფლობას იჩიმებენ. რადანაც ეს ტყუილია, ასეთ იდეოლოგიებს გამარჯვება მხოლოდ იძულების მეთოდების გამოყენებით შეუძლიათ. ამისგან განსხვავებით, ღია საზოგადოებები აღიარებენ, რომ ადამიანებს სხვადასხვა შეხედულებები და ინტერესები აქვთ. ისინი ადამიანების მიერ შექმნილ კანონებს აწესებენ, რათა მათ შეძლონ მშვიდობიანად თანაცხოვრება. პოპერის იდეებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგანაც უნგრეთში ნაცისტებისა და კომუნისტების მმართველობის დროს ცხოვრების გამოცდილება მქონდა. ჩემი ფონდის მისია განვსაზღვრე, როგორც (1) დახურული საზოგადოებების გახსნა, (2) ღია საზოგადოებების სიცოცხლისუნარიანობის ამაღლება და (3) კრიტიკული აზროვნების წახალისება. ეს 1979 წელს მოხდა.

* * *

ფონდმა მუშაობა მძიმედ დაიწყო. ვიცოდი ფილანთროპიის მახეებისა და პარადოქსების შესახებ და მათთვის თავის არიდებას ვცდილობდი. პრაქტიკა გავიარე „ჰელსინკი უოჩ-

ში“ – ადამიანის უფლებების დასაცავად მომუშავე ახლად შექმნილ ორგანიზაციაში, რომელიც მოგვიანებით „ჰიუმან რაიოს უორი“ გახდა. ოთხშაბათობით ვესწრებოდი დილის შეხვედრებს, სადაც მიმდინარე მოვლენებსა და საქმიანობას განიხილავდნენ. გარდა ამისა, ფაქტების დამდგენი ვიზიტით სალვადორსა და ნიკარაგუაში გავემგზავრე, სადაც იმ დროს სამოქალაქო ომები მძვინვარებდა. ბევრი რამ ვისწავლე, მაგრამ მე თვითონ თითქმის არაფერს ვაკეთებდი. მართალია, ურთიერთობა დავამყარე რუს დევნილ ვლადიმირ ბუკოვსკისთან, რომელიც აქტიურად მუშაობდა ავლანეთის თემაზე, მაგრამ გადავწყვიტე, არ დამეფინანსებინა საქმიანობა, რომლის შედეგადაც შეიძლება ადამიანები დალუპულიყვნენ ან თვითონ მოეკლათ სხვები. მოგვიანებით ასევე ფაქტების დამდგენი ვიზიტით გავემგზავრე რუსეთში, სადაც ახლო ურთიერთობა დავამყარე ადამიანთან, რომელსაც ქვეყნის დატოვება აკრძალული ჰქონდა და შვეიცარიის ავიახაზების სტიუარდესას დახმარებით სხვა რუსი დისიდენტებისთვის გასანაწილებლად მისთვის ფულის გაგზავნა დავიწყე. ჩემი ფონდი თანდათანობით დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროდ იქცა აღმოსავლეთ ევროპის დისიდენტური მოძრაობებისთვის.

პირველი სერიოზული წამოწყება, რომელსაც დამოუკიდებლად შევეჭიდე, სამხრეთ აფრიკაში განხორციელდა. ნიუ-იორკში მყავდა ზულუსი მეგობარი ჰერბერტ ვილაკაზი, რომელიც კონექტიკუტის უნივერსიტეტში ღერციებს კითხულობდა. ის სამხრეთ აფრიკაში დაბრუნდა და მუშაობა ტრანსკეის უნივერსიტეტში დაიწყო, რომელიც აპართეიდის სისტემის ფარგლებში შექმნილ ერთ-ერთ ტერიტორიულ

ერთეულში მდებარეობდა. მას 1980 წელს ვენტი და სამხრეთ აფრიკაში შექმნილი მდგომარეობა უჩვეულო კუთხით დავინახე. ეს დახურული საზოგადოება იყო, რომელსაც განვითარებული ქვეყნის ყველა ინსტიტუტი ჰქონდა, თუმცა ეს ინსტიტუტები მიუწვდომელი იყო მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მათი რასობრივი კუთვნილების გამო. დახურული საზოგადოების გახსნის უკეთეს შესაძლებლობას სხვაგან ძნელად თუ მივაგნებდი. შევხვდი კეიპტაუნის უნივერსიტეტის ვიცე-კანცულერ სტიუარტ სონდერსს, რომელსაც სურდა, რომ უნივერსიტეტის კარი შავკანიანი სტუდენტებისთვისაც გაელო. უნივერსიტეტში მოხვედრილი ყველა სტუდენტის სწავლის საფასურსს სახელმწიფო იხდიდა. გადავწყვიტე, აპართეიდული სახელმწიფოს რესურსების გამოყენების შესაძლებლობით მესარგებლა ამავე სახელმწიფოს გასახსნელად და შევთავაზე, რომ ოთხმოცი შავკანიანი სტუდენტის ცხოვრების ხარჯებს გავიღებდი.

სამხრეთ აფრიკაში მომდევნო წელსაც გავემგზავრე, მაგრამ ის ვიზიტი ნაკლებად წარმატებული იყო. აფრიკული ხელოვნებისა და კულტურის მხარდაჭერა მსურდა, ამიტომ ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის მომავალ ლაურეატ ნადინ გორდიმერს ვთხოვე აფრიკელთა კულტურის წრეების ლიდერებთან შეხვედრის ორგანიზება ამ მხარდაჭერის საუკეთესო გზების განსახილველად. მაგრამ შეხვედრა წარუმატებელი აღმოჩნდა. ჩემი ვინაობა იმ დროისთვის უკვე ცნობილი იყო და ყველამ იცოდა, რომ ნიუ-იორკიდან ჩამოსული მდიდარი ფილანთროპი ვიყავი, ამიტომაც შეხვედრის მონაწილეები ისე მიყურებდნენ, როგორც ოთახის შუაგულში მდგომ ოქროთი სავსე სკივრს და მხოლოდ ამ ოქროს გა-

ნაწილებაზე სურდათ საუბარი. გადავწყვიტე, ჩემს პროექტზე უარი მეთქვა, რის გამოც ყველა იმედგაცრუებული დარჩა.

კეიპტაუნის უნივერსიტეტს ვენვიე და აღმოჩნდა, რომ შავკანიანი სტუდენტების რიცხვი ოთხმოცით არ გაზრდილიყო, რადგანაც „ლია საზოგადოების“ სტიპენდიებიდან ზოგი უნივერსიტეტში ადრე მიღებულ სტუდენტებს მისცეს, ან, შესაძლოა, იმის გამოც, რომ სტუდენტების ნაწილმა სწავლას თავი დაანება. სტუდენტები, რომლებსაც შევხვდი, ძალზე უკმაყოფილონი იყვნენ. ისინი გრძნობდნენ, რომ მათი უნივერსიტეტში ყოფნა სხვებს არ სიამოვნებდათ, დისკრიმინაციას განიცდიდნენ და იძულებული იყვნენ, ეცხოვრათ უცხო კულტურაში, თანაც აკადემიური მოთხოვნების დაკმაყოფილებაც უჭირდათ. უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლებსაც შევხვდი და ისინი გაცილებით ნაკლებად გონიერად გახსნილები აღმოჩნდნენ, ვიდრე ვიცე-კანცლერი.

გადავწყვიტე, ამ სქემის განხორციელება შემეწყვიტა, თუმცა სტუდენტების პირველ ჯგუფს ბოლომდე დავხმარებოდი. ახლა ვფქირობ, რომ ეს გადაწყვეტილება მცდარი იყო. ვიცე-კანცლერმა შავკანიანი სტუდენტებისთვის შავკანიანი მენტორი მიინვია – რომელიც ჩემი მეგობარი ჰერბერტ ვილაკაზი აღმოჩნდა – რის შემდეგაც ისინი გაცილებით უკეთ სწავლობდნენ. ძალიან კარგი იქნებოდა, აპართეიდის სისტემის გაუქმებისას უნივერსიტეტი მეტ შავკანიან სტუდენტს რომ ჰქონდა დამთავრებული. თუმცა იმ დროს, როდესაც ეს გადაწყვეტილება მივიღე, აპართეიდის სისტემა მყარად ფესვგადგმული ჩანდა. რამდენიმე სხვა პროექტის განხორციელებაც ვცალე, მაგრამ ისეთი შეგრძნება გამიჩნდა,

რომ რაც არ უნდა მელონა, სისტემას მაინც ვერ შევცვლიდი. საქმიანობის საშუალებას მხოლოდ თავიანთი ტოლერანტობის დემონსტრირების მიზნით მაძლევდნენ. ნაცვლად იმისა, რომ აპართეიდული სახელმწიფო გამომეყენებინა, ისე გამოვიდა, რომ აპართეიდული სახელმწიფო მიყენებდა. ახლა ვფქირობ, რომ უფრო დაუინებული უნდა ვყოფილიყავი. ამ გამოცდილებამ მასწავლა, რომ ბრძოლა თითქოსდა უიმედო მიზნების მისაღწევადაც ლირს.

ჩემი მომდევნო სერიოზული წამოწყება ჩემს მშობლიურ უნგრეთში იყო. 1980-იანი წლების დასაწყისში უნგრეთის კომუნისტურ რეჟიმს საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკში გაწევრიანება სურდა, რის წყალობითაც შესაძლებლობა მომეცა, რომ უნგრელი დისიდენტების ჯგუფი ერთი წლით ნიუ-იორკის უნივერსიტეტში ჩამომეყვანა. მათ ქვეყნის დატოვების უფლება მისცეს. ამის შედეგად უნგრეთის შესახებ გარკვეული ცოდნა შევიძინე, რომელსაც ჩემი შემდგომი საქმიანობა დაეყრდნო.

1984 წელს უნგრეთის მთავრობას იქ ფონდის შექმნის წინადადებით მივმართე და, ჩემდა გასაოცრად, დადებითი პასუხი მივიღე. დავიწყეთ ხანგრძლივი მოლაპარაკებები, რომელთა მიმდინარეობისას ჩემი დისიდენტი მეგობრების რჩევებით ვხელმძღვანელობდი. შევთანხმდით, რომ ჩემი ფონდი ზოგადად უნგრულ კულტურას დაუჭერდა მხარს და არა მხოლოდ დისიდენტებს. ჩემს პარტნიორად უნგრეთის მეცნიერებათა აკადემია შეარჩიეს, რომელიც იმ დროს პოლიტიკური პოლიციის მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა.

ქვეყანას რამდენჯერმე ვეწვიე და შევარჩიე ადამიანების ჯგუფი, რომლებსაც ვენდობოდი და რომლებიც მთავრობისთვისაც მისაღები იყვნენ. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტთან ერთად ისინი ჩვენი ერთობლივი პროექტის სამეურვეო საბჭოს წევრები უნდა ყოფილიყვნენ. ეს ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ მთავრობა დაუინებით მოითხოვდა, რომ საბჭოს გადაწყვეტილებები პოლიტიკური პოლიციის კონტროლქვეშ მყოფ სამდივნოს განეხორციელებინა, რასაც ვერაფრით დავთანხმდებოდი. კულტურის დარგში კომუნისტური პარტიის მთავარ ჩინოვნიკს, გეორგ აცზელს ვეწვიე, რათა მეცნობებინა, რომ ჩიხში შევედით. „იმედია, ნაწყენი არ დაგვტოვეთ“, მითხრა მან. „ვერაფერს ვიზამ, რადგანაც საქმეს ამდენი ძალა შევალიე“, ვუპასუხე მე. უკვე კართან ვიყავი, როდესაც მითხრა: „რა არის საჭირო იმისთვის, რომ საქმე გააგრძელოთ?“. „დამოუკიდებელი სამდივნო“, ვუპასუხე მე. შევთანხმდით, რომ ორი მდივანი გვეყოლებოდა, რომელთაგანაც ერთს აკადემია დაასახელებდა, მეორეს – მე. ნებისმიერ დოკუმენტს, იმისათვის, რომ ძალა ჰქონოდა, ორივე მათგანის ხელმოწერა დასჭირდებოდა.² სწორედ ასე გაჩნდა უნგრული ფონდი. ჩემი პირველი თანამშრომელი, უნგრელი ემიგრანტიც ავიყვანე ნიუ-იორკში მდებარე ოფისში, რომელიც მოგვიანებით ლია საზოგადოების ფონდების შტაბ-ბინა გახდა. მანამდე მთელი შტატი ჩემი მეულლის, სიუზენ ვებერისგან შედგებოდა.

უნგრეთში ფონდი გამართულად მუშაობდა. ის დაცული იყო ყველა პრობლემისგან, რომლის წინაშეც იდგნენ ჩვეულე-

2 ვფიქრობ, რომ აშშ-ს მთავრობამ სწორედ ეს ფორმულა უნდა გამოიყენოს დახმარების განაწილების დროს პაკისტანსა და სხვა ქვეყნებში, რომელთა ბოლომდე ნდობა არ შეუძლია.

ბრივი ფონდები, რადგანაც სამოქალაქო საზოგადოება მას თავისიანად მიიჩნევდა. ვორქეფებით მარტივი წესით, რომელიც კარლ პოპერის ღია საზოგადოების კონცეფციიდან გამოვიყვანე: სახელმწიფო დოგმა, რომელსაც მმართველი კომუნისტური პარტია ამკვიდრებდა, ყალბი იყო, ხოლო მისი სიყალბის გამომზეურება ალტერნატივის შექმნით შეგვეძლო. ამიტომაც ფონდი მხარს უჭერდა ყველა კულტურულ ინიციატივას, რომელიც ოფიციალური დოგმის გამოვლინება არ იყო – ციტრაზე დამკვრელთა კლუბებით დაწყებული და ფერმერების კომპერატივებით დამთავრებული. გაცემული თანხები ძალზე მცირე იყო, რადგანაც ინიციატივების უმეტესობა სახელმწიფო ნაგებობებს იყენებდა და მათი მონაბილეებიც სახელმწიფოსგან იღებდნენ ხელფასებს. სახელმწიფოს მისივე რესურსების გამოყენებით ვუთხრიდით ძირს.

ამ ჯილდოებისთვის საჭირო უნგრულ ფორინტებს კულტურული და საგანმანათლებლო ინსტიტუტებისთვის გრანტების დოლარებში გაცემის გზით ვშოულობდით. მათ უნგრული ფორინტი ბევრი ჰქონდათ, მაგრამ უცხოური ვალუტა უჭირდათ, ამიტომ თანახმანი იყვნენ, რომ უნგრული ფონდისთვის შემოწირულობები ოფიციალურზე უკეთესი გაცვლითი კურსის მიხედვით შემოეტანათ. ჩვენი ყველაზე წარმატებული ნაბიჯი მათვის ქსეროქსის აპარატების მიწოდება იყო, რასაც ორმაგი მიზანი ჰქონდა. გარდა იმისა, რომ ამის შედეგად უნგრეთის ფონდმა უნგრული ვალუტა მიიღო, შესაძლებელი გახდა ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც მანამდე რთულად მოსაპოვებელი იყო. სეგედის უნივერსიტეტი, მაგალითად, ქსეროქსის აპარატებს არალეგალური დისიდენტური ლიტერატურის დასაბეჭდად იყენებდა.

ფონდს მისი რესურსების დაუფლების მსურველი აპლიკანტებისგან თავის დაცვა არ უწევდა, რადგანაც მას ისინი იცავდნენ, ვისაც ფონდი ეხმარებოდა. დარღვევების შესახებ ის ადამიანები გვატყობინებდნენ, ვინც ფონდს საკუთარ ორგანიზაციად მიიჩნევდა. მაგალითად, ფონდმა უარი თქვა უსინათლოთა ასოციაციის მიერ ხმოვანი წიგნების დამზადებისა და გავრცელების მხარდაჭერაზე მას შემდეგ, რაც გაფრთხილება მიიღო, რომ ეს ორგანიზაცია კორუმპირებული იყო. ასეთი საინფორმაციო ქსელის წყალობით ფონდი ძალზე ეფუძნდა. წელიწადში 3 მილიონი ლოლარის ოდენობის ბიუჯეტის პირობებში ის რეალურად იქცა კულტურის სამინისტროს აღტერნატივად, თუმცა სამინისტროს ბიუჯეტი გაცილებით დიდი იყო. ჩვენ მართლაც კულტურის აღტერნატიულ სამინისტროდ მოგვიხსენიებდნენ. ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ინიციატივა სტუდენტების მიერ მართული დამოუკიდებელი კოლეჯებისა და სტუდენტების დამოუკიდებელი კავშირის მხარდაჭერა იყო. ეს უკანასკნელი მოგვიანებით უნგრეთის ერთ-ერთი ძირითადი პოლიტიკური პარტიის, ფილესის, ბირთვი გახდა.

ცხადია, ფონდის საქმიანობა უპრობლემო არ ყოფილა: მაგალითად, მან შვა დახმარების მიღებას მიჩვეული კლიენტურა, რის გამოც საპოლოოდ ფართო საზოგადოებისთვის იმაზე ნაკლებად გახსნილი გახდა, ვიდრე უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, ფონდმა მაინც შეძლო თავის არიდება მრავალი ისეთი ნაკლოვანებისთვის, რომელიც ფონდებს ახასიათებს ხოლმე. მისმა წარმატებამ ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. სწორედ ამ ილბლიანმა შემთხვევამ აღმიძრა ფილანთროპიის მაღა, რაც, თავის მხრივ, საქმარისი მოტივაცია იყო იმი-

სათვის, რომ ჰეჯ-ფონდის მართვა და ფულის შოვნა გამეგრ-ძელებინა.

1986 წელს ფონდი ჩინეთში დავაარსე. უფრო ადრე, უნგრეთის ფონდმა ჩინეთსა და უნგრეთს შორის ეკონომისტების მეტად წარმატებული გაცვლითი პროგრამა განახორციელა. მათი ჩინელი პარტნიორი, ეკონომიკური რეფორმის ინსტიტუტი, ჩინეთში ჩემი პარტნიორიც გახდა. ჩემს წარმომადგენლად ჩინელი ემიგრანტი ლიანგ ჰენგი შევარჩიე. მას იმ დროისთვის კარგი გამოხმაურების მქონე ავტოპიოგრაფიული ნაწარმოები „რევოლუციის შვილი“ ჰქონდა დაწერილი, ხოლო მოგვიანებით პერიოდული გამოცემა „ჩინელი ინტელექტუალი“ დაარსა. ჩინეთს რამდენჯერმე ვეწვიე და პირადი კონტაქტი დავამყარე პრემიერ-მინისტრ ჟაო ჟიანთან და მისი აპარატის უფროს ბაო ტონგთან. ამ უკანასკნელმა ფონდის შექმნის ნებართვა პირადი ხელმოწერით დაადასტურა და ამრიგად აგვარიდა მრავალი სხვადასხვა უწყებიდან ხელმოწერების შეგროვების საჭიროებას. მოგვიანებით ეს ძვირად დაუჯდა.

ფონდს გრანტები ყველაზე ღირსეული კანდიდატებისთვის უნდა მიეცა და არა იმათთვის, ვისაც უკეთესი კავშირები ჰქონდა. ეს უცნაური მიდგომა იყო ჩინეთში, სადაც კავშირები ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის, და არაერთი უთანხმოება გამოიწვია ჩვენს ინსტიტუციურ პარტნიორთან, რომელიც მუდმივად საკუთარ თანამშრომლებს ანიჭებდა უპირატესობას. ჩინეთში გავრცელებული იყო მიდგომა, რომელსაც „გონებრივ ფეოდალიზმს“ ვუწოდებდი: დახმარების მიმღებნი თავს დავალებულად თვლიდნენ დახმარების გამნევისგან, ხოლო ეს უკანასკნელი თავის ვალდებულებად მიიჩნევდა,

ეზრუნა იმათზე, ვისაც ეხმარებოდა, რადგანაც მათი ბედი მისი გავლენის საზომი იყო. ახლა ვთქმობ, რომ ფონდისთვის უცხო მიღვომის დაძალება შეცდომა იყო. აჯობებდა, რომ უბრალოდ დავხმარებოდი ჩემს ინსტიტუციურ პარტნიორს, რომელიც ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების ავანგარდში იმყოფებოდა.

ჩინეთში ჩემს ფონდს იღბალი არ სწყალობდა, რადგანაც ის კომუნისტურ პარტიაში სხვადასხვა დაჯგუფებას შორის ბრძოლის მიზეზი გახდა. ხისტი პოლიტიკის მომხრეები ბაო ტონგს დაუპირისპირდნენ, რადგანაც პირადი ხელმოწერით გასცა ისეთი ფონდის შექმნის ნებართვა, რომელსაც დივერსიულ ორგანიზაციად მიიჩნევდნენ. შიდა პოლიტიკური პოლიციის მიერ ნარმოებული გამოძიებისგან თავის დასაცავად მან და პრემიერ-მინისტრმა ფონდის კონტროლი გარე პოლიტიკურ პოლიციას გადასცეს. რადგანაც ეს ორი ორგანიზაცია თანაბრად გავლენიანი იყო, მათ ალარაფერი ემუქრებოდა, მაგრამ ფონდი ამის შედეგად პოლიტიკური ძალის ხელში აღმოჩნდა. როდესაც ეს გავიგე, ფონდი დავხურე. ეს ტიანანმენის მოედანზე სისხლისლვრამდე ცოტა ხნით ადრე მოხდა. ბაო ტონგი მოგვიანებით იმ რამდენიმე ადამიანს შორის მოხვდა, ვინც ციხეში ამოყო თავი.

ჩინეთში ფონდი მისი დახურვიდან მხოლოდ ათი წლის თავზე აღდგა. ამისათვის 2001 წელს პეკინში მთავრობის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე მიმიწვიეს, რომელიც ჩინეთის მომავალს ეძღვნებოდა. ჩინელებს კვლავ ეჭვები აღეძრათ ჩემ მიმართ 2005 წელს, როდესაც პრეზიდენტმა პუტინმა უსამართლოდ დამაპრალა „ფერადი რევოლუციების“ დაგე-

გმვა საქართველოსა და უკრაინაში. ეს რევოლუციები სახალხო აჯანყებები იყო კორუმპირებული და მჩაგვრელი რეჟიმების წინააღმდეგ. ჩემი ფონდი მართლაც უჭერდა მხარს მთავრობის კრიტიკას, მაგრამ ამბოხებების დაგეგმვასა ან დაფინანსებაში მონაწილეობა არ მიუღია. მას შემდეგ ჩვენი ურთიერთობები ამბივალენტურია, რაც დასანანია, რადგანაც ჩინეთი აღმავლობის გზაზე მდგომ სახელმწიფოდ მიმაჩნია და ვფიქრობ, რომ ჩინეთისა და დანარჩენი მსოფლიოს მჭიდრო თანამშრომლობა ძალზე მნიშვნელოვანია.

უნგრეთის ფონდის მოდელის პოლონეთში გამეორება 1987 წელს ვცადე. იმ დროისთვის უკვე ვაფინანსებდი ოქსფორდის უნივერსიტეტში პოლონელი მეცნიერების მივლინების პროგრამას და სოლიდარობის კულტურულ ორგანიზაციასაც ვუგზავნიდი ფულს, ასე რომ, პოლონეთის სამოქალაქო საზოგადოებასთან კარგი კავშირები გვქონდა. ზბიგნევ პელჩინსკის დახმარებით, რომელიც ოქსფორდის პროგრამას ხელმძღვანელობდა, პოლონეთის მთავრობის ნებართვა მოვიპოვეთ.

პოლონეთის ფონდის სამეურვეო საბჭომ თავიდანვე უარი თქვა უნგრეთის მოდელის მიხედვით მუშაობაზე. ის დაუინებით მოითხოვდა, რომ ფონდს უფრო გამიზნულად ემოქმედა და რამდენიმე პროგრამულ მიმართულებაზე ყოფილიყო ფოკუსირებული, იმის ნაცვლად, რომ ყველა ტიპის წინადადებისთვის გაელოთ ფართოდ კარი. გადავწყვიტე, რომ მათთვის დრო მიმეცა, სანამ თავად არ მიხვდებოდნენ საკუთარ შეცდომას, მაგრამ საბჭო მართალი აღმოჩნდა და პოლონური მოდელი შემდგომ სხვა ქვეყნებშიც დავნერგეთ. ეს

ჩემთვის გაკვეთილიც იყო. მივხვდი, რომ იმ ქვეყნების მცხოვრებლები, სადაც ფონდები მქონდა, იქაურობას ჩემზე უკეთ იცნობდნენ და ამიტომ შემდგომ გადაწყვეტილებებს ადგილობრივი სამეურვეო საბჭოების მოსაზრებების გათვალისწინებით ვიღებდი. თუ მათ შეხედულებებს კატეორიულად არ ვეთანხმებოდი, საბჭოს შემადგენლობას ვცვლიდი ხოლმე.

1987 წელს ფონდი საბჭოთა კავშირშიც დავაარსე. საბჭოთა კავშირის ლიდერმა მიხეილ გორბაჩოვმა 1986 წლის დეკემბერში უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა და ტელეფონით დაუკავშირდა ბირთვული ფიზიკის სპეციალისტს და ადამიანის უფლებების დამცველ ანდრე სახაროვს, რომელიც ქალაქ გორკიში (დღევანდელ ნიუნი-ნოვგოროდში) იყო გადასახლებული. გორბაჩოვმა მას მოსკოვში დაბრუნება შესთავაზა „პატრიოტული საქმიანობის გასაგრძელებლად“. ეს ამბავი ფუნდამენტური ცვლილების ნიშნად მივიჩნიე. საქმე ძველებურად რომ ყოფილიყო, სახაროვისთვის შეიძლებოდა საბჭოთა კავშირის დატოვების წეპა დაერთოთ, მაგრამ მოსკოვში დაბრუნების უფლებას არ მისცემდნენ. პირველივე შესაძლებლობისთანავე მოსკოვში გავემგზავრე.

მოსკოვში ჩასვლიდან მალევე პოტენციურ პარტნიორად შევარჩიე ახლად შექმნილი კულტურის ფონდი, რომელსაც გორბაჩოვის მეულლე რაისა მფარველობდა. სახაროვს ვენვიე და ვთხოვე, რომ სამეურვეო საბჭოში ჩემი პირადი წარმომადგენელი ყოფილიყო, მაგრამ უარი მითხრა. „ვერაფერს მიაღწევ, გარდა იმისა, რომ სუკ-ის სკივრებს დოლარებით

გაავსებ,“ გამაფრთხილა მან. გულუბრყვილო ამერიკელად მიმიჩნია და მეამაყებოდა, რომ მართალი არ აღმოჩნდა. თუმცა, კულტურის ფონდის წარმომადგენლები, რომლებთანაც ურთიერთობა მქონდა, მართლაც სუკ-თან აღმოჩნდნენ დაკავშირებული, რაც საიდუმლოდ გამანდეს კიდეც ლია ცის ქვეშ სეირნობისას. სახაროვმა მაინც დამისახელა საბჭოს წევრობის სავარაუდო კანდიდატები. იმ დროისთვის უკვე მქონდა კავშირი დამოუკიდებლად მოაზროვნე ნოვოსიბირსკელ სოციოლოგ ტატიანა ზასლავსკაიასთან. სახაროვმა რეკომენდაცია გაუწია ისტორიკოს იური აფანასიევს და „ზნამიას“ რედაქტორ გრიგორი ბაკლანოვს. სამეურვეო საბჭოს სანდო წევრებად ასევე შევარჩიე მწერლები დანიილ გრანინი და ვალენტინ რასპუტინი, ქართველი ფილოლოგი თენგიზ ბუაჩიძე და კოსმოსის მკვლევარი და რელიგიის ფილოსოფიის სპეციალისტი ბორის რაუშენბახი. ასე იშვა ჩემი საბჭოთა ფონდი – „კულტურის ინიციატივა“.

საქმიანობას დაუყოვნებლივ შევუდექით ისე, რომ ოფიციალურ ნებართვას არ დავლოდებივართ. მახსოვდა, როგორ მიყვებოდა ბავშვობაში მამაჩემი რუსეთის რევოლუციის დროს მის თავს გადამხდარ ამბებს და ამბობდა, ქარტეხილების დროს შეუძლებელი შესაძლებელი ხდება ხოლმეო. სხვა დასავლური ფონდები დაუინებით ელოდებოდნენ ხელისუფლების ნებართვას, ვიდრე მუშაობას დაიწყებდნენ. ამრიგად, მომდევნო ერთი-ორი წლის მანძილზე „კულტურის ინიციატივა“ საბჭოთა კავშირში მოქმედი ერთადერთი უცხოური ფონდი იყო, რის წყალობითაც მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა შეგვეძლო. ჩვენი ყველაზე წარმატებული პროექტი, შესაძლოა, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ისტორიისა

და სამართლის ახალი სახელმძღვანელოების მომზადება და სკოლებსა და უნივერსიტეტებში მათი გავრცელება იყო. გარდა ამისა, ჩვენი დახმარებით განაგრძობდა არსებობას ეგრეთ წოდებული სქელტანიანი ჟურნალები – ცნობილი ლიტერატურული გამოცემები, რომლებიც ჩვენი მხარდაჭერის გარეშე გაქრებოდა.

საბჭოთა ეკონომიკის რეფორმირების გეგმა მოვამზადე. ჩემი წინადადება გეოგრაფიულად შემოსაზღვრული თავისუფალი ვაჭრობის ზონების ნაცვლად, გულისხმობდა თავისუფალი ბაზრის დამკვიდრებას საბჭოთა ეკონომიკის ზოგიერთ სეგმენტში, პირველ რიგში კი საკვების გადამამუშავებელ მრეწველობაში, რომელსაც თავისუფალი ბაზრის ჩანასახად განვიხილავდი გეგმური ეკონომიკის წიაღში. მოვიწვიე დასავლელი ეკონომისტების ჯგუფი, რომელსაც ნობელის პრემიის რუსული წარმომავლობის ლაურეატი ვასილი ლეონტიევი ხელმძღვანელობდა. ჩემდა გასაოცრად, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ნიკოლაი რიუკოვმა სხვადასხვა სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელებს უბრძანა, რომ ჩვენს პირველ შეხვედრას დასწრებოდნენ. ეს იმაზე მიანიშნებდა, თუ რაოდენ ძლიერ სურდა მთავრობას დასავლური დახმარების მოპოვება. იმ დროს განსაკუთრებით ცნობილი არ ვიყავი, მაგრამ ყველაზე გავლენიანი სახელმწიფო უნივერსიტების უფროსები მწკრივად დაეწყვენენ ჩემ მიერ ჩამოყვანილ ექსპერტებთან შესახვედრად. დისკუსიები ერთხანს გაგრძელდა, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ გეგმური ეკონომიკა მეტად დაავადებული იყო იმისთვის, რომ მის წიაღში ჯანმრთელ ჩანასახს ეარსება.

დასავლეთიდან სამართლის სპეციალისტებიც ჩამოვიყვანეთ სამოქალაქო კოდექსის მომზადების პროცესში დასახმარებლად. თუმცა ჩემი უნარი, გავლენა მომეხდინა დასავლეთის პოლიტიკაზე, უფრო მცირე იყო, ვიდრე ჩემი ფონდის მიერ მიღწეული შედეგები საბჭოთა იმპერიაში. ამის მიზეზი, შესაძლოა, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული კოგნიტიური დისონანსი იყო. აღმოსავლეთი სისტემური კოლაფისის მდგომარეობაში იმყოფებოდა, დასავლეთში კი არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა. როდესაც 1989 წლის გაზაფხულზე პოტსდამში (რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ აღმოსავლეთ გერმანიის ნაწილი იყო), გამართულ აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფერენციაზე საბჭოთა იმპერიისთვის ახალი მარშალის გეგმის განხორციელების წინადადებით გამოვედი, უბრალოდ დამცინეს („ფრანკფურტერ ალგემაინე“ წერდა, წინადადებამ დამსწრენი გაამხიარულა). და ეს არ ყოფილა დასავლეთის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის ერთადერთი ჩემი მცდელობა, რომელიც მარცხით დასრულდა.

საბჭოთა სისტემა სწრაფად იშლებოდა და ფონდს არ შეეძლო, რომ მხოლოდ საკუთარი ძალებით ჩასდგომოდა სათავეში დახურული საზოგადოების ღია საზოგადოებად ტრანსფორმირების პროცესს. ამის ნაცვლად, თავად ფონდი აღმოჩნდა დაშლის პროცესში ჩათრეული გავარკვიეთ, რომ ფონდის ზოგიერთი მოხელე კორუმპირებული იყო და ფონდის ხელმძღვანელობის რეორგანიზაციაზე ძვირფასი დრო დავკარგეთ. ვინ იცის, რას მივაღწევდით, ფონდს ნორმალურად რომ ემუშავა.

იმ დროს პოლიტიკური მღელვარების შუაგულში ვიყავი, რაც უჩვეულო მდგომარეობა იყო უცხოელისთვის. მე პირადად ვმონანილეობდი ეკონომიკური რეფორმებით დაკავებული პირების მოქიშპე ჯგუფების დაპირისპირებაში. მეტად დავუახლოვდი გრიგორი იავლინსკის, რომელიც შეეცადა პრაქტიკულად განეხორციელებინა მამაჩიძის მოსაზრება, რომ რევოლუციურ პერიოდში ადამიანმა შეუძლებლის მიღწევა უნდა სცადოს. იგი იყო რეალური ავტორი შატალინის გეგმის და 500-დღიანი პროგრამისა, რომლთა მიზანი ევროპის საერთო ბაზრის მსგავსი ეკონომიკური გაერთიანებით საბჭოთა კავშირის ჩანაცვლება იყო. როდესაც მის დასახმარებლად დასავლელი ეკონომისტების ჯგუფი ჩავიყვანე, რეფორმატორთა მოქიშპე ჯგუფებმა ისინი ხელში ჩაიგდეს და მთელი დღის განმავლობაში ფაქტობრივად დატყვევებული ჰყავდათ ქალაქებით მდებარე რეზიდენციაში. საბოლოოდ იავლინსკი მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოველწლიურ შეხვედრაზე წავიყვანე ვაშინგტონში, სადაც მათი მეტოქები იბრძოდნენ აღიარებისთვის. მართალია, მათთვის სპეციალური მოსმენის ორგანიზება მოვახერხე, მაგრამ შინ ხელცარიელები დაბრუნდნენ და გორბაჩოვმაც მათ პროგრამას ნაკლებად რადიკალური პროგრამა ამჯობინა. თავად გორბაჩოვი მალევე ჩამოაშორეს ხელისუფლებას.

ამავე დროს ბერლინის კედელი დაინგრა და საბჭოთა კავშირიც დაიშალა. აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური რეჟიმების დაცემას სწრაფად გამოვეხმაურე და ამ ქვეყნებში ერთიმეორის მიყოლებით დავაარსე ფონდები. 1989 წლის შობამდე ცოტა ხნით ადრე ვეწვიე პრაღას, სადაც კომუნის-

ტური პარტიის წარმომადგენლის, იმუამად ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის, მარიან ჩალფასგან შევიტყვე, რომ იგი ვაცლავ პაველისთვის ძალაუფლების მშვიდობიანად გადაცემას აპირებდა. პაველმა ამის შესახებ არ იცოდა. ბუქარესტში 1990 წლის იანვრის დასაწყისში ჩავედი, კომუნისტი დიქტატორის, ნიკოლაე ჩაუშესკუს სიკვდილით დასჯიდან მცირე ხნის შემდეგ. ბუქარესტი ალყაშემორტყმულ ქალაქს ჰავდა. შემდეგ სოფიაში გავეშურე ბულგარეთის ფონდის დასაარსებლად. ასევე ვეწვიე საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს და იქაური ფონდები იქამდე გავხსენი, ვიდრე ეს რესპუბლიკები დამოუკიდებელი ქვეყნები გახდებოდნენ.

უკრაინაში ჩემი ვიზიტი განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო. კიევში ქვეყნის კულტურულ ელიტას შევხვდი და მათ ფონდისთვის მრავალი განსხვავებული იდეა შემომთავაზეს. ყველა ეს იდეა მიზანშეუწონლად მომეჩვენა და ასეც ვუთხარი მათ. შეხვედრის ბოლოს ბოდიში მოვიხადე ასეთი უარყოფითი პასუხისთვის, თუმცა ისინი სულაც არ იყვნენ ამის წინააღმდეგნი. „ვერ წარმოიდგენთ, რა სასიამოვნო სიახლეა ადამიანთან ურთიერთობა, რომელიც პირდაპირ ამბობს არას. ჩვენი ხელისუფლება ყოველთვის გვეთანხმება და შემდეგ არაფერს აკეთებს“. ჩემთვის ეს გაკვეთილი იყო. ამის შემდეგ უყოყმანოდ ვამბობდი უარს წინადადებებზე, რომლებიც მიზანშეუწონლად მიმაჩნდა.

ეს მშფოთვარე და ეიფორიული პერიოდი იყო. არასტაბილური სიტუაციების შესახებ უჩვეულო წარმოდგენა მქონდა, რომელიც რუსეთის რევოლუციის დროს მამაჩემის მიერ

შეძენილ გამოცდილებას ემყარებოდა, ასევე ჩემს საკუთარ გამოცდილებას უნგრეთის გერმანული ოუპაციის წლებში. ამან საშუალება მოგვცა, რომ რევოლუციური სიტუაცია ჩვენი მიზნებისთვის გამოგვეყნებინა.

ოჯახი ლონდონში გადავიყვანე, რათა მოვლენათა ცენტრთან უფრო ახლოს ვყოფილიყავი. ფულს რაიმე ერთიანი გეგმის გარეშე გავცემდი. მიმაჩნდა, რომ ღია საზოგადოება სოციალური მოწყობის უფრო კომპლექსური ფორმა იყო, ვიდრე დაშლის პროცესში მყოფი კომუნისტური სისტემა. სისტემური ტრანსფორმაციისთვის გარეშე დახმარება იყო საჭირო. ყველაფერი ერთდროულად უნდა გაკეთებულიყო. ამიტომაც, თუ მივიღებდი წინადადებას, რომელიც განხორციელებადი ჩანდა, როგორც წესი, ვთანხმდებოდი ხოლმე. სწორედ ამიტომ გაიზარდა ჩემი ღია საზოგადოების ფონდების ხარჯები 3 მილიონი დოლარიდან 300 მილიონ დოლარამდე სულ რამდენიმე წლის განმავლობაში. ყოველივე ამის გეგმის მიხედვით განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. უბიუჯეტოდ ვმუშაობდით და ბოლოს ფონდების მთელი ქსელის საქმიანობის კონტროლი გაძნელდა. ქაოსში აღმოვჩნდით ჩაფლულები, თუმცა ეს ქაოსი შედეგების მიღწევაშიც გვეხმარებოდა. ქაოსის შუაგულში სასწრაფოდ გვჭირდებოდა რაიმე სახის წესრიგი მაინც.

გამიმართლა და მოვახერხე „ჰიუმან რაიოს უოჩის“ დირექტორ არიე ნეიერის რეკრუტირება, რომელიც 1993 წელს ღია საზოგადოების ფონდების პრეზიდენტი გახდა. მან ფონდების მართვა გადაიპარა. დამოუკიდებლად მოგზაურობის უფლება აღარ მქონდა – ყოველთვის ვინმე უნდა მხლებოდა

თან და ყველა ჩემი დაპირება ჩაენიშნა, სხვა შემთხვევაში ფონდი მათ არ შეასრულებდა. სწორედ ამ დროს დაიწყო ფონდების ქსელის ჩამოყალიბება მისი დღევანდელი სახით. ადგილობრივი ხელმძღვანელობის მქონე ფონდი ყოფილი საბჭოთა იმპერიის პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში დავაარსეთ. ჩვენს პროფესიულ ენაზე მათ „ეროვნული ფონდების ქსელი“ ვუწოდეთ. ამასთან ერთად შევქმნით ეგრეთ წოდებული „ქსელური პროგრამებიც“, რომლებიც სახელმწიფო საზღვრებს კვეთს და ისეთ კონკრეტულ საპროგრამო სფეროებს მოიცავს, როგორიცაა სამართალი, ჯანმრთელობის დაცვა და განათლება. შედეგად, შეიქმნა მატრიცა, რომელიც ეროვნული ფონდების წყალობით დაგროვილ ლოკალურ ცოდნას ქსელური პროგრამების ფარგლებში არსებულ პროფესიონალურ ცოდნასთან აერთიანებს. მატრიცა დახურული არ იყო: ეროვნულ ფონდებს შეეძლოთ პროექტების განხორციელება ქსელური პროგრამების სფეროებს მიღმა, ხოლო ქსელური პროგრამების განხორციელება ისეთ ქვეყნებშიც შეიძლებოდა, სადაც ეროვნული ფონდები არ გვქონდა. საბჭოთა სისტემის დაშლა გრძელდებოდა, მაგრამ ჩვენი ორგანიზაცია თანდათან უფრო შეკრული ხდებოდა. ქაოსის პერიოდმა თავისი დანიშნულება შეასრულა. ფონდები ამ ქვეყნებში შექმნილი პირველი მსგავსი ორგანიზაციები იყო და მათ თითქოსდა განუხორციელებადი პროექტების მხარდაჭერის წყალობით გარკვეული რეპუტაცია შეიქმნეს. ახლა მათი მუშაობა უფრო პროფესიონალური გახდა.

ჩვენი ბიუჯეტის დაახლოებით მესამედი ბავშვებზე ფოკუსირებულ განათლებაზე იხარჯებოდა – და კრიტიკული აზროვნების წამახლისებელი მიდგომის დამკავიდრებაზე

რეგიონში, რომელიც ავტორიტარულ მეთოდებსა და დაზეპირებით სწავლას იყო მიჩვეული. დავაარსე საგანმანათლებლო დაწესებულება მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის – ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, რომელიც თავდაპირველად პრალაში იყო განთავსებული, ხოლო შემდეგ ბუდაპეშტში გადავიდა და ფილიალი ვარშავაშიც აქვს. ასევე შევქმნი უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც დაახლოებით იმდენივე ფული დაიხარჯა სხვა ახლად შექმნილ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე. გარდა ამისა, მხარს ვუჭერდით სისტემურ რეფორმებს, როგორც უმაღლეს, ასევე ზოგადი განათლების სისტემებში. დაბოლოს, შემოვიდეთ პროგრამა „ნაბიჯ-ნაბიჯ“ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის, რომელიც საბავშვო ბალების პროგრამა „კარგი დასაწყისის“ მოდიფიკაცია იყო.

ჩვენი ბიუჯეტის მესამედი და, შესაძლოა, მეტიც სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერაზე იხარჯებოდა, ამ ტერმინის ფართო გაგებით. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდით სამოქალაქო უფლებებს და მოწყვლადი ჯანმრთელობის დაცვას. გადავწყვიტეთ, რომ ეთნოსი რომა, რომელსაც უმრავლესობა დამამცირებელ სახელ „ჯიფისის“ უწოდებდა, აღმოსავლეთ ევროპაში ეთნიკურად მოტივირებული სოციალური გარიყელობის ყველაზე მძიმე შემთხვევა იყო. ამიტომაც ამ პრობლემის გადაჭრას სულ უფრო მეტ ფულსა და ენერგიას ვუთმობდით. თავდაპირველად მათ კულტურას ვუჭერდით მხარს, შემდგომ კი განათლებასაც. ჩვენი ყველაზე დიდი მიღწევა იყო რომას ახალი, განათლებული თაობის აღზრდა, რომელიც ამ ეთნოსისადმი თავისი კუთვნილებით ამაყობს.

რადგანაც საბჭოთა კავშირის დაშლა გრძელდებოდა და მოსახლეობას სულ უფრო მძიმე პირობებში უწევდა ცხოვრება, ჩვენი ბიუჯეტიც იზრდებოდა. 100 მილიონი დოლარი გავიღე „მეცნიერების საერთაშორისო ფონდის“ შესაქმნელად, რომლის მიზანი საბჭოთა მეცნიერების საუკეთესო ნაწილის გადარჩენა იყო. ფონდმა 500 დოლარის ოდენობის გადაუდებელი გრანტები გამოუყო საბჭოთა კავშირის ყველაზე გამოჩენილ მეცნიერებს. უკონტროლო ინფლაციის წყალობით, ეს თანხა ოჯახის ერთი წლის მანძილზე სარჩენად იყო საკმარისი. შერჩევა მარტივ და ობიექტურ კრიტერიუმს ემყარებოდა: სამი ციტირება საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ სამეცნიერო ჟურნალში. ამ მოთხოვნას 30 ათასზე მეტი მეცნიერი აკმაყოფილებდა. ფულის დანარჩენი ნაწილი კვლევით პროგრამებს მოხმარდა, რომლებსაც მეცნიერების საერთაშორისო უიური არჩევდა კოლეგების მიერ ნაშრომების განხილვის სისტემის საფუძველზე. ეს სქემა წარმოუდგენლად წარმატებული გამოდგა: მთელი თანხა ერთ წელიწადში განაწილდა. ჩემი მიზანი მხოლოდ საბჭოთა მეცნიერების საუკეთესო ნაწილის გადარჩენა კი არ იყო, რასაც ადამიანის ინტელექტის უმაღლეს მილენიუმ მივიჩნევდი, არამედ იმის დემონსტრირებაც, რომ უცხოური დახმარების ეფექტიანად მართვა შესაძლებელია.

„უოლ სტრიტ ჯორნალში“ 1992 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში გამოვთქვი აზრი, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილი დახმარება იმავე პრინციპით უნდა განაწილებულიყო. საბჭოთა მთავრობისა და მისი მემკვიდრეებისთვის საბიუჯეტო დახმარების გაწევის ნაცვლად, დახმარება პენსიებისა და უმუშევართა შემწეობების გა-

დასახდელად უნდა გამოყოფილიყო და მისი განაწილება მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ უნდა მომხდარიყო. ეს კარგი იდეა იყო, მაგრამ განუხორციელებელი დარჩა. ზოგადად, იდეები წარმატებული იყო მაშინ, როდესაც მათ დამოუკიდებლად ვახორციელებდი, ხოლო როდესაც სახელმწიფო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენას ვცდილობდი, ბევრს ვერაფერს ვაღწევდი. დროთა განმავლობაში მდგომარეობა შეიცვალა და ბოლო დროს უფრო წარმატებით ვახერხებ საზოგადოებრივი მხარდაჭერის მობილიზებას. მტკიცედ მნამს, რომ ისტორია სხვანაირად განვითარებოდა, „უოლ სტრიტ ჯორნალში“ გამოქვეყნებული ჩემი წინადადება პრაქტიკაში რომ განხორციელებულიყო. საბჭოთა კავშირში მცხოვრები ადამიანები დასავლური დახმარების პრაქტიკულ და ხელშესახებ სარგებელს ნახავდნენ და დასავლეთის მიმართ მათი დამოუკიდებულებაც საკმაოდ განსხვავებული იქნებოდა. ევროპა დღეს მძიმე შედეგებს იმკის იმის გამო, რომ გაჭირვების დროს რუს ხალხს არ დაეხმარა.

ამ თავგადასავლების დროს თავადაც ბევრი რამ ვისწავლებოდა პირველად გატაცებული ვიყავი იმ თითქმის უსაზღვრო შესაძლებლობებით, რომლებიც საბჭოთა სისტემის კოლაფსმა შვა, და იმდენად მსურდა ისტორიაში ჩემი წვლილის შეატანა, რომ დაუფიქრებლად ვცდილობდი მიუღწევლის მიღწევას. შესაძლებლისა და შეუძლებლის გარჩევა თანდათანობით ვისწავლებოდა. უფრო ფრთხილი გავხდი და საკუთარი მნიშვნელოვნების მატება უფრო ნაკლებად მაღლებდა, ვიდრე რაიმე ღირებულის მიღწევა. მახსოვს ერთ-ერთი ვიზიტი მოსკოვში, როდესაც ორმა ყველაზე მნიშვნელოვანმა ადამიანმა მათ შორის, ვისაც უნდა შევხვედროდი, ჩემთან შეხვედრა გააუქმა იმ პოლიტიკის გამო, რომელსაც მხარს

ვუჭერდი. ადრე ასეთი ამბავი მეწყინებოდა, მაგრამ ამჯერად კმაყოფილი ვიყავი იმით, რომ ჩემი პოზიცია არ დავთმე. ბოლო პერიოდში, როდესაც მეკითხებოდნენ, პუტინს შეხვედრიხარ თუ არაო, გულახდილად შემეძლო მეპასუხა, მასთან შეხვედრა არ მსურს-მეთქი.

ჩემი, როგორც საჯარო პირის, სტატუსი სერიოზულად შეიცვალა 1992 წელს. როდესაც გაერთიანებული სამეფოს ვალუტა, ფუნტი სტერლინგი, გაცვლითი კურსის ევროპული მექანიზმიდან ამოიღეს, „ინგლისის ბანკის დამაქცეველი“ მიწოდეს. ამის მიზეზი ის იყო, რომ ამ ამბავში ჩემი ჰეჭ-ფონდის მონაწილეობა არ უარვყავი, ხოლო შემდეგ მედიამ ჩემი როლი გააბუქა. განზრას არ შევუშალე ამას ხელი, იმისათვის რომ მომეპოვებინა ტრიბუნა, საიდანაც სხვა საკითხებზე საუბარს შევძლებდი. ასეც მოხდა. უეცრად აღმოჩნდა, რომ ჩემს სიტყვებს ბევრი უსმენდა.

იმ წელს იუგოსლავია ომში აღმოჩნდა ჩართული და ჩემი ტრიბუნიდან განვაცხადე, რომ ომის ქარცეცხლში გახვეული ბოსნიის მშვიდობიანი მოსახლეობის დასახმარებლად 50 მილიონი დოლარის ოდენობის ფონდს ვქმნიდი. შობის დღეებში გაკეთებულმა ამ განცხადებამ მშვიდობიანი მოსახლეობის ტანჯვა ყურადღების ცენტრში მოაქცია. ჩემი დახმარების თავდაპირველი მიზანი საომარ ზონაში ჰუმანიტარული მისიების პერსონალის შეყვანა იყო, რაც, თავის მხრივ, გაერო-ს სამშვიდობო ჯარებს აიძულებდა, რომ მათ დასაცავად მოქმედების უფრო აგრესიულ წესებზე გადასულიყვნენ. სინამდვილეში ასე არ მოხდა. გაერო-ს ჯარებმა არ აღკვეთეს სასაკლაო სრებრენიცაში. თუმცა, ჰუმანიტარული დახმარების ტერასელმა გენიოსმა ფრედ კანიმ ამ ფულით სარაევოს

გაზი, ელექტროენერგია, წყალი და ბოსტნეულის მოსაყვანი თესლი მიაწოდა. ჩემი დახმარების თავდაპირველი მიზანი მიუღწეველი დარჩა, მაგრამ ფრედ კანიმ ჩემი ფული წარმატებით გამოიყენა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს ფული სარაევოს მცხოვრებლებს გადარჩენაში დაეხმარა. კანი მაღევე დაიღუპა ჩეჩჩეთში.

სარაევოში 1993 წლის ნოემბერში ჩავედი, როდესაც ქალაქი ალყაშემორტყმული იყო. ამ ვიზიტს უხალისოდ დავთანხმდი, რადგან არ მინდოდა თავი საფრთხეში ჩამეგდო. ფრენა საკმაოდ საშიში იყო ილ-76-ით, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი თვითმფრინავია. იატაკზე დაწყობილი გაზის მიღების გროვის გვერდით ვისხედით. ვირაჟებისა და დაშვების დროს უკრაინული ეკიპაჟის წევრები რიგრიგობით უჭერდნენ და უშვებდნენ ლვედებს, რომლებითაც მიღები იყო შეკრული. შემდეგ სულ ათი წელი გვქონდა აეროპორტიდან გასასვლელად.

სარაევოში ფრედ კანის მიერ აშენებული წყლის გამწმენდი სისტემის საზეიმო გახსნაზე ჩავედი. სისტემა დაშლილი ჩაიტანეს თვითმფრინავით და მთაში გაყვანილ საავტომობილო გვირაბში დაამონტაჟეს. თუმცა, ადგილობრივი ხელისუფლება წყლის გაშვების ნებართვას არ იძლეოდა. რატომ – ჩვენთვის უცნობი დარჩა. შესაძლოა, ვიღაც ბევრ ფულს შოულობდა წყლის გაყიდვით, ან მთავრობას სურდა, რომ სნაიპერებს კვლავაც დაეხოცათ წყლის რიგში მდგომი ადამიანები, რათა ტელევიზიით მათი ფოტოების ჩვენებას ქალაქის გაჭირვების მიმართ თანაგრძნობა აღეძრა. შესაძლოა, ორივე მიზეზი რეალური იყო. წყლის გაშვების ნებართვა მხოლოდ მას შემდეგ

მოგვცეს, რაც დავემუქრე, პროტესტს საჯაროდ გამოვხატავ-მეთქი.

აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის ქვეყნებში შექმნილ ფონდებში თუნდაც მინიმალური წესრიგის დამყარება მძიმე ამოცანა იყო, მაგრამ არა ისეთი ყოვლისმომცველი და სასიამოვნო, როგორც ჩემი საქმიანობა რევოლუციურ პერიოდში. ჩვენმა ყოველწლიურმა ხარჯებმა 600 მილიონ დოლარს მიაღწია, როდესაც ფისკალური დისცპლინის დამკვიდრება დავიწყეთ. ჩვენი მიზანი ხარჯების განახევრება იყო, მაგრამ ამას ვერ მივაღწიეთ, რადგან მუდმივად ჩნდებოდა ახალი შესაძლებლობები სხვადასხვა ადგილას.

* * *

როდესაც 1994 წელს ჰაიტიზე დიუვალიეს რეჟიმი დაემხო და ამერიკის არმიამ ქვეყნის ოკუპირება მოახდინა, გადავწყვიტე, რომ იქ ფონდის შექმნა იყო საჭირო. არიე ნეიერი იცნობდა შესაფერის ადამიანს, რომელსაც ფონდის ხელმძღვანელობა შეეძლო – მიშეღ პიერ-ლუის. არიე კარგ ადამიანს გვატემა-ლაშიც იცნობდა. ფონდი იქაც შევქმნით და მისი სამეურვეო საბჭო უნიკალური იყო, რადგან ქალაქში მცხოვრებ ლიბერალ ინტელექტუალებსა და სოფლად მცხოვრები აბორიგენი თემების ლიდერებს აერთიანებდა. შემდეგ სამხრეთ აფრიკაში აპართეიდის სისტემა გაუქმდა და ნელსონ მანდელა პრეზიდენტი გახდა. ჩვენი პრინციპებიდან, სამხრეთ აფრიკაში ჩვენი საქმიანობის ისტორიიდან და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩვენი საქმიანობის გამოცდილებიდან გამომდინარე, თავი ვალდებულად ჩავთვალე, რომ ეროვნული ფონდი სამხრეთ აფრიკაშიც დამეარსებინა. იქიდან საქმი-

ანობა აფრიკის სხვა ნაწილებზეც განვავრცეთ და ჩვენი პროგრამების ქსელმა მსოფლიოს სხვა კუთხეებსაც მიაღწია.

1995 წლისთვის ჩავთვალე, რომ საკმარისი გავაკეთეთ ჩვენი დღის წესრიგის პირველი პუნქტის განსახორციელებლად, რაც დახურული საზოგადოებების გახსნას გულისხმობდა, ამიტომაც შეგვეძლო მეორე პუნქტზე გადასვლა – ლია საზოგადოებების სიცოცხლისუნარიანობის ამაღლებაზე. ლია საზოგადოების ფონდების საქმიანობა უცხო ქვეყნებში იყო კონცენტრირებული და დადგა დრო, რომ საკუთარ ქვეყანაშიც გაგვეკეთებინა რამე. ამერიკაში ლია საზოგადოების ნაკლოვანებებს დავუფიქრდი და სტრატეგიული გეგმა მოვამზადე, რომელიც შემდეგ სოციალური ფილოსოფიის სპეციალისტების ნარჩევ ჯგუფს გადავეცი კრიტიკული განხილვისათვის.

ორი იდეა სიახლე იყო. პირველი – საბაზრო ლირებულებებმა ისეთ სფეროებში შეაღწია, სადაც მათი ადგილი არ იყო – განსაკუთრებით ალსანიშნავი იყო ის, რომ მათ პროფესიული ღირებულებები შეასუსტეს. ისეთი ლიბერალური პროფესიები, როგორებიცაა მედიცინა, სამართალი და ურნალისტიკა, ბიზნესებად გადაიქცა. საჭირო იყო პროფესიული ღირებულებების პრიმატის განმტკიცება. მეორე იდეა გულისხმობდა, რომ ზოგიერთ სფეროში შიშმა კრიტიკული პროცესი შეაფერხა და ყალბი დოგმები შვა, რომლებისთვისაც ტენდენციურობა და შეუწყნარებლობა იყო დამახასიათებელი და რომლებიც ლია საზოგადოების პრინციპებს ასუსტებდა. ორი ასეთი სფერო გამოყავი: ამერიკელების დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ და ამერიკის მთავრობის ნარკოპოლი-



ტიკა. ამ სფეროებს საერთო თვისება აქვთ: ნარკოტიკებზე და მოკიდებულებაც და სიკვდილიც გადაუჭრელი პრობლემებია, ამიტომაც ბუნებრივად ჩნდება ყალბი გამოსავლის ძიების ტენდენცია, თუმცა ასეთი გამოსავალი პრობლემას კიდევ უფრო ამძიმებს. ორივე შემთხვევაში, ასეთი გამოსავალი გადაუჭრელი პრობლემის არსებობის აღიარებაზე უარის თქმას გულისხმობს: ექიმები ნებისმიერ ფასად ცდილობენ სიცოცხლის გახანგრძლივებას, ხოლო ნარკოტიკებთან მებრძოლები ნულოვან ტოლერანტობას ემხრობიან. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ამ ორ სფეროს შორის კავშირი უფრო მჭიდრო იყო: დღევანდელი გადასახედიდან „ნარკოტიკებთან ომი“ შეიძლება „ტერორიზმთან ომის“ წინამორბედად განვიხილოთ.

შეერთებულ შტატებში სხვა პროგრამები დანარჩენ მსოფლიოში ჩვენ მიერ განხორციელებული პროგრამების გაგრძელება იყო: სოციალური სამართლიანობა, მოწყვლადი ჯგუფები, სამოქალაქო უფლებები და სისხლის სამართლის სისტემა. სტრატეგიამ კრიტიკული განხილვა გაიარა და მისი განხორციელება დავიწყეთ. ძირითადად ჩემ მიერ წარმოდგენილი ორი იდეით ვიყავი დაკავებული, სხვა სფეროებს კი სიამოვნებით ვუთმობდი არიე ნეიერს, რომელმაც მათ შესახებ ჩემზე მეტი იცოდა.

პროექტი ამერიკაში სიკვდილის შესახებ, შესაძლოა, ჩვენი ყველაზე წარმატებული საშინაო პროგრამა იყო. მან ახალი დარგი შვა. სინამდვილის უარყოფისადმი ამერიკელების მიღრეკილება სამედიცინო პროფესიის წარმომადგენლებისთვისაც იყო დამახასიათებელი და ფართო საზოგადოებისთვი-

საც. მივაგენით ექსპერტთა ჯგუფს, რომლებმაც მომაკვდავ პაციენტებთან მუშაობა იცოდნენ. სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში სასწავლო სტიპენდიების დაწესების საშუალებით მათ შეძლეს მომაკვდავ პაციენტებზე ზრუნვის, როგორც სამედიცინო დისციპლინის, გარდაქმნა. ისინი ასევე დაგვეხმარენ უშუალოდ ფართო საზოგადოების განათლებაშიც. ყველაზე წარმატებული ნაბიჯი ბილ მოიერსის მიერ მომზადებული გადაცემების სერია იყო, რომელიც ხუთი ნაწილისგან შედგებოდა და საზოგადოებრივი ტელეარხით გადაიცა. ეს გადაცემები ღია საზოგადოების ფონდებს არ დაუფინასებიათ, მაგრამ მოიერსი მეტწილად ჩვენ მიერ დაფინასებულ ნაშრომებს იყენებდა. სიკვდილი ტაბუდადებული თემა აღარ იყო. ჩვენი წარმატება ამ სფეროში საქმიანობის შეწყვეტით აღვნიშნეთ. ჩვენი ადგილი სხვა ფონდებმა დაიკავეს. თუმცა ბოლო პერიოდში ამ სფეროს დავუბრუნდით და თანადაფინანსება გავუწიეთ ახალი თაობის პროექტებს, რომლებიც პირველმა თაობამ შვა.

ნარკოპოლიტიკის სფეროში ასეთ წინსვლას ვერ მივაღწიეთ. ეს მეტად წინააღმდეგობრივი სფეროა, სადაც ექსტრემისტები დომინირებენ. არ ვიცი, როგორი ნარკოპოლიტიკაა სწორი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ნარკოტიკებთან ომმა მეტი ზიანი მოიტანა, ვიდრე თავად ნარკოტიკებმა. როდესაც ნარკოტიკებთან ომის წინააღმდეგ გამოვედი, ნარკოტიკების ლეგალიზების მცდელობაში დამადანაშაულეს. მართლაც ვფიქრობ, რომ დღევანდელი პოლიტიკის გაგრძელებას ნარკოტიკების ლეგალიზება აჯობებდა, მაგრამ ამის თქმას ვერიდები, რადგანაც ეს ხელსაყრელი იქნებოდა ექსტრემისტებისთვის, რომლებიც ცდილობენ, რომ საკითხი სულ ორ

შესაძლებლობამდე დაიყვანონ: ან ნარკოტკებთან ომს უჭერ მხარს, ან ნარკოტიკების ლეგალიზებას ემხრობი. ვფიქრობ, რომ ნარკოპოლიტიკას შეცდომების მიხედვით პოლიტიკის ადაპტირების მეთოდი უფრო შეეფერება.

ლია საზოგადოების ფონდები ზიანის შემცირებას ემხრობიან, თუ ზიანზე საუბრისას მხოლოდ ნარკოტიკებით გამოწვეულ ზიანს კი არ ვიგულისხმებთ, არამედ მათი აკრძალვის შედეგად წარმოშობილ ზიანსაც. რადგანაც ლეგალიზაცია საზოგადოებისთვის მიუღებელია, ზიანის შემცირების მიზნად დასახვა შესაძლებელს ხდის სხვადასხვა ზომის გამოცდისა და შეცდომების მიხედვით პოლიტიკის ადაპტირების პროცესს. რამდენად შორს წავა ეს პროცესი, საზოგადოებრივი აზრის ევოლუციაზეა დამოკიდებული. არც ის ვიცი, თუ რამდენად შორს უნდა წავიდეს პროცესი, მაგრამ, როდესაც აშშ-სა და გაერო-ს ძირითადი პოლიტიკით გამოწვეულ ზიანს ვუყურებ, განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, როგორებიცაა ავლანეთი, მექსიკა, პაიტი, გვატემალა და ლათინური ამერიკისა და აფრიკის სხვა ქვეყნები, სულ უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ პროცესი რაც შეიძლება შორს უნდა წავიდეს.

ნარკოტიკებთან ომი წარმატებული ვერ იქნება, რადგანაც ეკონომიკის ყველაზე ელემენტარულ კანონებს ეწინააღმდეგება, რომელთა დისკრედიტირება 2008 წლის კატასტროფა-მაც კი ვერ შეძლო. მიზოდების აღკვეთა მაშინ, როდესაც მოთხოვნა ელასტიკური არ არის (და რა შეიძლება იყოს უფრო ნაკლებ ელასტიკური, ვიდრე ნარკოდამოკიდებულება?) მხოლოდ ფასებსა და მოგების ოდენობას ზრდის. მაღალი ფასები მიწოდების სტიმულია, ხოლო მოგების სიდიდე ნარ-

კოტიკებით ვაჭრობის წამახალისებელია, რაც ნარკოდამოკიდებულებასა და არაელასტიკურ მოთხოვნას წარმოშობს. რაც უფრო მკაცრია სამართალდამცველთა საქმიანობა, მით უფრო სასტიკ ადამიანებს იზიდავს ეს ბიზნესი. სწორედ ამ მახეში ვიმყოფებით ახლა. საბედნიეროდ, ამერიკაში დამოკიდებულება ამ საკითხისადმი თანდათანობით იცვლება. ადამიანები, რომლებსაც მოზარდობისას მარიხუანა მოუწევიათ და, შესაძლოა, უფრო სერიოზული ნარკოტიკიც გაუსინჯავთ, ახლა მშობლები ხდებიან და საზოგადოებასაც ესმის ნარკოტიკების მომხმარებელთა პატიმრობის უარყოფითი შედეგები და უსამართლობა. ამ პროცესს, სავარაუდოდ, დააჩქარებს სახელმწიფო ფინანსების მოსალოდნელი შემცირება. ვლიქრობ, რომ რაღიკალური რეფორმის პერსპექტივები ახლა უკეთესია, ვიდრე რომელიმე პერიოდში მას შემდეგ, რაც ნარკოპოლიტიკით დავინტერესდი. სამწუხაროდ, ავღანეთში ვითარების გამოსასწორებლად რეფორმა შეიძლება დაგვიანებული აღმოჩნდეს.

პროფესიული ღირებულებების განმტკიცების პროექტის შედეგები არაერთგვაროვანია. სამართლის პროფესიის შემთხვევაში, დიდ წარმატებებს მივალნიეთ საჯარო სამსახურის სამართლის პრაქტიკოსებისთვის სტიპენდიების დაწესების მხრივ, მაგრამ მოსამართლეთა შერჩევისას პროფესიული სტანდარტების დამკვიდრების მცდელობა გაცილებით ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა და ეს პროცესი კიდევ უფრო პოლიტიზებული გახდა. უურნალისტიკის სფეროში საგამოძიებო უურნალისტიკის რამდენიმე ინიციატივა დავაფინანსოთ, მაგრამ სხვა მხრივ განსაკუთრებულ პროგრესს ვერ მივალნიეთ იმ პროფესიის პრობლემების გადაჭრაში,

რომელიც ღია საზოგადოების აუცილებელი ელემენტია და ამჟამად ტექნოლოგიურ ტრანსფორმაციას განიცდის. მედიკინის დარგში დავაარსეთ ინსტიტუტი, რომლის მიზანი იყო სამედიცინო პროფესიის დაცვა ფარმაცევტული ინდუსტრიის ცდუნებებისგან, მაგრამ ვერ შევძლით იმ ანგარებიანი დამოკიდებულების შეცვლა, რომელიც პროფესიულ გაერთიანებებსა და ზოგიერთ ექიმს ახასიათებს. პოლო პერიოდის დებატებმა ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის შესახებ თვალნათლივ გამოაჩინა, თუ რამდენად მნირია საზოგადოების ცოდნა ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელობის შესახებ. ამერიკული სისტემა სამედიცინო პროცედურების ღირებულების ანაზღაურებას გულისხმობს და არა ჯანმრთელობის დაცვას. ევროპისა და კანადის ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სისტემები, მათი ნაკლოვანებების მიუხედავად, უკეთეს შედეგებს აღწევს, მაგრამ ამერიკაში ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სისტემის გაგონებაც კი არ სურთ, რადგანაც ის სოციალიზმის გამოვლინებად მიიჩნევა. სპეციალური ინტერესების გავლენა ყველგან აღწევს და ამან საკანონმდებლო პროცესიც მოწამლა.

ამერიკაში ღია საზოგადოების პრობლემებით დაინტერესებამ და საბჭოთა იმპერიისადმი დასავლური დახმარების წარუმატებლობით გამოწვეულმა შეშფოთებამ გლობალური კაპიტალიზმის ნაკლოვანებების შესწავლისკენ მიბიძგა. 1997 წლის თებერვალში დავწერე სტატია უურნალ „ატლანტიკ მანთლისათვის“ სათაურით „კაპიტალიზმის საფრთხე“, რომელიც ეჭვევეშ აყენებდა ვაშინგტონის კონსენსუსის პრინციპებს. განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზე 1997 წელს მომხდარი კრიზისის შემდეგ სტატია განვავრცე და წიგ-

ნად გამოვეცი, რომელსაც „გლობალური კაპიტალიზმის კრიზისი“ ერქვა. 2000 წელს კიდევ ერთი წიგნი დავწერა, „გლობალიზაციის შესახებ“, რომელშიც შემოთავაზებული იყო მთელი რიგი რეფორმებისა, თუმცა ისინი სერიოზულად არავინ აღიქვა. ამ რეფორმებიდან ერთ-ერთის, სესხების სპეციალური უფლებების, სერიოზული განხილვა მხოლოდ 2008 წლის ფინანსური კატასრულოფის შემდეგ დაიწყო.

როდესაც 1999 წელს ხელისუფლების სათავეში პუტინი მოვიდა, ჩვენი ფონდი რუსეთში თავდასხმის ობიექტი გახდა და პრაქტიკულად ქვეყნიდან გააძევეს. ნაქირავები გვქონდა შენობა მისი შემდგომი გამოსყიდვის უფლებით. თუმცა თავდაპირველმა მფლობელმა შენობა ერთ-ერთ განგსტერს მიჰყიდა, რომელმაც შეძლო სასამართლოში შენახული კონტრაქტის შეცვლა ყალბი ასლით, სადაც გამოსყიდვის უფლება ნახსენები აღარ იყო, შემდეგ კი, როდესაც ქირის ვადა ამოინურა, ჩვენს ოფისს დაეუფლა. იმ დროს დარწმუნებული არ ვიყავი, მართლაც ერთი კონკრეტული განგსტერის ნამოქმედარი იყო ეს თუ არა, მაგრამ ახლა უფრო მზად ვარ დავიკურო, რომ ყველაფერი მთავრობის ხელშეწყობით მოხდა. ასე იყო თუ ისე, დავრწმუნდი, რომ რუსეთის მთავრობას აღარ სურდა ჩემგან დახმარების მიღება და აღარც იმსახურებდა დახმარებას და ამიტომ ფონდი დავხურე.

მეტად სევდიანი დასასრული იყო გაბედული ფილანთროპიული წამოწყებისთვის, მაგრამ არ ვნანობ, რომ ეს გადაწყვეტილება მივიღე. მხოლოდ ამ ფონდის ძალები არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ რუსეთს დახურულიდან ლია საზოგადოებად გარდაქმნაში დახმარებოდა. როგორც ადრეც



ვთქვი, ვფიქრობ, რომ ისტორია სხვაგვარად განვითარდებოდა, დასავლეთის მთავრობებს ფონდისთვის რომ მიებაძათ. მჯერა, რომ ფილანთროპი ისე უნდა მოიქცეს, როგორც საჭიროდ მიაჩნია, მიუხედავად იმისა, მიაღწევს თუ არა წარმატებას. სწორედ ეს არის მთავარი განსხვავება ფილანთროპიასა და ბიზნესის ინვესტიციებს შორის. დარწმუნებული ვარ, რომ ფონდის საქმიანობა რუსმა ხალხმა დააფასა და რომ მისი გრძელვადიანი შედგები პოზიტიური იქნება, მიუხედავად მთელი იმ მტრული პროპაგანდისა, რომელსაც პუტინის რეჟიმი მიმართავს მის წინააღმდეგ.

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ პრეზიდენტი პუტინი პირად მტრად მიმიჩნევს, ჩემ მიერ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მხარდაჭერაა. ჩემი აზრით, ეს მეტად სევდიანი ამბავია. საქართველოში კორუფციის დონემ ძალიან იმატა ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს. რეფორმატორების ჯგუფმა, რომელსაც იმ დროს იუსტიციის მინისტრი სააკაშვილი და პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ უვანია ხელმძღვანელობდნენ, ფართო ანტიკორუფციული კამპანია წამოიწყო. კამპანიას მხარს ჩემი ფონდიც უჭერდა და პირადადაც ჩავერთე მასში. კამპანიას ასევე მხარს უჭერდა პრეზიდენტი შევარდნაძეც, რომელიც კარგ ადამიანად მიმაჩნდა, მაგრამ ვფიქრობდი, რომ მან თავისი შესაძლებლობები ამონურა. ანტიკორუფციული პროგრამა კარგად ჩამოყალიბებული და ამბიციური იყო, მაგრამ ადგილიდან ვერ დაიძრა. საქართველოში ჩემი ყოველი ვიზიტის დროს პრეზიდენტი შევარდნაძე მხარდაჭერას გამოხატავდა, მაგრამ რეალურად ვერაფერს აკეთებდა, რადგან კორუფციის ძირითადი წყარო შინაგან საქმეთა სამინისტრო იყო და

მისი სიცოცხლე პირდაპირ იყო დამოკიდებული უშიშროების სამსახურზე. რეფორმატორების მოთმინება ბოლოს და ბოლოს ამოიწურა. სააკაშვილმა და უვანიამ მთავრობა დატოვეს და შექმნეს პოლიტიკური პარტია, რომელიც პრეზიდენტ შევარდნაძეს დაუპირისპიდა. მათდამი ჩემი მხარდაჭერა იმით გამოვხატე, რომ 2003 წელს ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის სახელით ღია საზოგადოების ჯილდო გადავეცი. ოპოზიციამ არჩევნებში წარმატებას მიაღწია. დამოუკიდებელი ეგზიტპოლის თანახმად, რომელსაც სხვებთან ერთად ჩემი ფონდიც აფინანსებდა, მათ ხმების უმრავლესობა მიიღეს, მაგრამ ოფიციალური შედეგებით სამთავრობო პარტიამ გაიმარჯვა. მოქალაქეები ეგზიტპოლს უფრო ენდობოდნენ, ვიდრე ოფიციალურ შედეგებს, ამიტომ რევოლუცია მოხდა და სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა.

აღტაცებული ვიყავი და ყველაფერს ვაკეთებდი, რაც შემეძლო, რომ წარმატების მიღწევაში დავხმარებოდი. რამდენიმე მილიონი დოლარი გავიღერესურსების შექმნის ფონდისთვის, რომელიც გაერო-ს განვითარების პროგრამის ინიციატივით შეიქმნა და სააკაშვილის კაბინეტის წევრებს ყოველთვიურად ათასი დოლარის ოდენობის სახელფასო დანამატს უხდიდა, ხოლო პოლიციის პერსონალს – თვეში ასობით დოლარს. ამან სააკაშვილს საშუალება მისცა, რომ პოლიციაში დისციპლინა დაემყარებინდა და ბლოკპოსტების გაუქმების ბრძანება გაეცა, სადაც გამვლელი მანქანების მძლოლებს ქრთამს სძალავდნენ. ეს რეალური ანტიკორუფციული ნაბიჯი იყო, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი მისი პოპულარობის ზრდას. მაგრამ მდგომარეობა გაუარესდა, როდესაც სააკაშვილის მთავრობამ კორუფციის ბრალდებით ბევრი ცნობილი ბიზნეს-

მენი დაპატიმრა და გათავისუფლების სანაცვლოდ დიდი თანხები გამოსძალა მათ. ეს ფული არაფორმალურ ფონდში ირიცხებოდა, რომელიც რუსეთის მოსალოდნელი თავდასხმისგან საქართველოს დასაცავად იარაღის შეძენისთვის იყო განკუთვნილი. რადგანაც ფონდი არაფორმალური იყო, შემდგომში კორუფციის წყაროდ იქცა.

საქართველოში მოქმედი ჩემი ფონდი ამ უკანონო ქმედების წინააღმდეგ გამოვიდა და, რადგანაც ქვეყანაში საპარლამენტო ოპოზიცია არ არსებობდა, ახალი მთავრობის ყველაზე აქტიური კრიტიკოსი გახდა. თავდაპირველად მზად ვიყავი, რომ მთავრობის მიერ ჩადენილ დარღვევებს ასე თუ ისე შევგუებოდი, რადგანაც მიმაჩნდა, რომ რევოლუციურ სიტუაციებში ჩვეულებრივი წესები გამოუსადეგარია, მაგრამ უფრო კრიტიკული გავხდი, როდესაც ეს ქმედებები არ შეწყვიტეს. ხელისუფლებაში მოსული სააკაშვილი გაცილებით ნაკლებად ერთგული იყო ღია საზოგადოების ლირებულებებისა, ვიდრე ოპოზიციაში ყოფნის დროს.

ამავე დროს, რუსული მედია მადანაშაულებდა, რომ სააკაშვილის მთავარი დამფინანსებელი ვიყავი, ხოლო პუტინმა ცენტრალური აზიის რესპუბლიკების მმართველებს ჩემი ფონდების დახურვა ურჩია. საბედნიეროდ, მათმა უმრავლესობამ ეს რჩევა ყურად არ იღო, მაგრამ ფონდები ზეწოლის ქვეშ მოექცნენ და უარყოფითი შედეგები მსოფლიოს სხვა კუთხეებშიც ვიგრძენით. ამ მწარე გაკვეთილმა მასწავლა, რომ ნაკლებად გავრეულიყავი იმ ქვეყნების შიდა პოლიტიკაში, სადაც ჩემი ფონდები მოქმედებდნენ.

ასეთი დასკვნის თეორიაში გამოტანა უფრო იოლია, ვიდრე პრაქტიკაში მისი განხორციელება. სტრატეგია, რომელსაც ცალკეულ ქვეყნებში საქმიანობისთვის ვამზადებთ, დიდად არის დამოკიდებული შიდა პოლიტიკურ ვითარებაზე. ჩვენი მიღებობა ორ მიმართულებას მოიცავს. ერთი მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებას ვებმარებით მთავრობის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფაში, მეორე მხრივ, ვცდილობთ ვითანამშრომლოთ მთავრობებთან, რომლებიც მზად არიან, მიიღონ ჩვენი დახმარება, რათა უკეთ გაართვან თავი თავიანთ მოვალეობებს. ჩვენი საქმიანობა უფრო შედეგიანი იქნება, თუ ორივე მიმართულებით შევძლებთ მუშაობას, ხოლო ყველაზე დიდ შედეგებს რეჟიმის დემოკრატიული ცვლილების პერიოდებში ვალწევთ, როდესაც ახალ მთავრობას უფრო ღია საზოგადოების შექმნა სურს, მაგრამ საჭირო რესურსები არა აქვს. მათი რესურსების გაზრდა ხშირად ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი დახმარებაა. სწორედ ეს გავაკეთეთ საბჭოთა სისტემის კოლაფსის დროს. უცხოელი ექსპერტები ჩამოვიყვანეთ და ამ ქვეყნების კვალიფიცირებულ მოქალაქეებსაც დავეხმარეთ ფინანსურად, რათა უცხოეთიდან დაბრუნებულიყვნენ. იგივე გავიმეორეთ საქართველოში ათი წლის შემდეგ. როდესაც ამ როტულ გამოცდილებას ვიხსენებ, არ მგონია, რომ რაიმე სხვანაირად უნდა გამეკეთებინა.

ნამდვილი გაკვეთილი, რომელიც საქართველოში მივიღე, ის იყო, რომ ტრანზიციის პროცესში მყოფი ქვეყნების დახმარება როტული და უმაღური საქმეა. მსგავსი გამოცდილება სხვა ქვეყნებშიც გვქონია, სადაც ერთი მთავრობის მიერ განხორციელებულ სისტემურ რეფორმებს მომდევნო მთავრობა მიზანმიმართულად აუქმებდა. რუსეთი ამის საუკეთესო



მაგალითია. თავისუფლებები, რომლებმაც ელცინის მმართველობის ქაოსურ წლებში ფეხი მოიკიდა, პუტინის დროს პრაქტიკულად მთლიანად გაქრა. თუმცა, არსებობს ნაკლებად თვალში საცემი გაკვეთილიც. სისტემური რეფორმების დაფუძნება კონკრეტულ პარტნიორ მთავრობასთან მჭიდრო კავშირებზე სახითათოა. სისტემური რეფორმები ფართო საზოგადოებრივ ჩართულობასა და მხარდაჭერას საჭიროებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ეს რეფორმები შეუქცევადი.

ოცდამეერთე საუკუნეში ღია საზოგადოების ფონდებმა გლობალურ მასშტაბს მიაღწიეს. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ადგილობრივი ფონდის შექმნა მეტად რთული იქნებოდა, ამიტომ რეგიონული ფონდების დაარსება დავიწყეთ, რომელთაგან ერთი სამხრეთ აფრიკაში შეიქმნა და იმ ცხრა ქვეყანას მოიცავს, რომელიც სამხრეთ აფრიკის განვითარების თანამეგობრობაში (შADჩ) შედის, მეორე დასავლეთ აფრიკის იმ თვრამეტი ქვეყნისთვის არის განკუთვნილი, რომლებიც დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოების ეკონომიკური თანამეგობრობის (ECOWAS) წევრები არიან, ხოლო მესამე აღმოსავლეთ აფრიკაში მოქმედებს და თავდაპირველად კენიას ფარავდა, ხოლო შემდეგ თანდათანობით გაფართოვდა მეზობელ ქვეყნებში. ინდონეზიაში ფონდი სუჰარტინს მთავრობის დამხობის შემდეგ შევქმენით 2000 წელს. ავღანეთში ამერიკის არმიის შესვლის შემდეგ პროგრამები იქაც წამოვიწყეთ და პაკისტანშიც. ამჟამად გრანტების მცირე რაოდენობას ერაყშიც გავცემთ. მსოფლიოს სხვა კუთხეებში, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ლათინურ ამერიკაში, ჩვენი საქმიანობა ნაკლებად ფორმალ-

ური, მაგრამ მაინც რეალურია.

სისტემასთან ერთად, რომელიც ეროვნულ ფონდებსა და ქსელურ პროგრამებს აერთიანებს, ახალ განზომილებასაც დავუდეთ სათავე, რომელსაც „ქსელების ქსელს“ ვუწოდებ. ეს გულისხმობს მჭიდრო თანამშრომლობას და მნიშვნელოვან ფინანსურ მხარდაჭერას ისეთი დამოუკიდებელი ორგანიზაციებისთვის, როგორებიცაა „გლობალ უითნეს“ და კრიზისების საერთაშორისო ჯგუფი, ბოლო პერიოდში კი საგარეო ურთიერთობების ევროპული საბჭო (ECFR) და ახალი ეკონომიკური აზროვნების ინსტიტუტი (INET). ჩემთვის ეს ახალ სფეროებში საქმიანობის დაწყების საყვარელი ფორმულა გახდა, რადგანაც სხვებისგან დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა გვაძლევს შეფასების კვაზიობიექტურ სტანდარტს, რომელიც არ არსებობს ფონდების ქსელში, რომელიც მთლიანად ჩვენ გვეკუთვნის. იდეალურ შემთხვევაში, ჩვენი დაფინანსება ჩვენ მიერ მხარდაჭერილი ორგანიზაციების საერთო ბიუჯეტის ერთ მესამედს არ უნდა აღემატებოდეს, რათა მათ დამოუკიდებლობა შეინარჩუნონ.

როდესაც ჩემი ფონდების ქსელს განვიხილავ, ამ ქსელში მიმდინარე შორს მიმავალი და მრავალფეროვანი საქმიანობის სათანადოდ აღნერა არ შემიძლია, რადგანაც ამ საქმიანობას სრულად არ ვიცნობ. მოგზაურობისას ახალ პროექტებს აღმოვაჩენ ხოლმე, რაც დიდ კმაყოფილებას მანიქებს. პროექტები, რომელთა შესახებ არაფერი ვიცი, ხშირად საუკეთესო პროექტებია ხოლმე, რადგანაც მე, როგორც წესი, პრობლემური პროექტების შესახებ მატყყობინებენ. საქმიანობის მთელ სპექტრს მხოლოდ არიე ნეიერი იცნობს და ბიუჯეტის

განხილვის პროცესში ჩართული რამდენიმე ადამიანი. ბიუ-
ჯეტის შედგენის პროცესი ექვს კვირას გრძელდება ხოლმე.

ლია საზოგადოების ფონდები ორგანულად იზრდებიან,
რადგან შესაძლებლობებზე მათი გაჩენის პარალელურად
რეაგირებენ. ვფიქრობ, რომ ეს სწორი გზაა. მრავალი სხვა
ფონდი საკუთარი ინსტიტუციური საჭიროების დაკ-
მაყოფილებით არის დაკავებული. ვცდილობთ, რომ თავი
ავარიდოთ ამას. გვეამაყება, რომ, ამ თვალსაზარისით
უანგარო ფონდი ვართ, რაც ჩვენი ძლიერების წყაროა. შევ-
ძელით, რომ სხვა ფონდებთან გვეთანამშრომლა და ბევრად
უფრო მეტს მივალნიეთ იმის წყალობით, რომ არ გვქონდა
პრეტენზია, პროექტები ჩვენი სახელით განხორციელებუ-
ლიყო. სხვა ინსტიტუტებს საკუთარი წარმატების ხაზგასმა
სჭირდებათ დაფინანსების მოსაპოვებლად, ჩვენ კი ჩვენს
ინსტიტუციურ საჭიროებებს რეალური შედეგების მიღწ-
ევით ვიკმაყოფილებთ, იმისდა მიუხედავად, აღიარებს თუ
არა ვინმე ჩვენს დამსახურებას. რაც არ უნდა უცნაური
იყოს, ასე მეტი მეგობარი და მოკავშირე შევიძინეთ, ვიდრე
გამუდმებით ჩვენს წარმატებებზე საუბრის შემთხვევაში
შევძლებდით.

ეგოისტი ადამიანი და მისი უანგარო ფონდი – როგორ შეი-
ძლება ამ ორი რამის შეთავსება? ნება მიბოძეთ, აგიხსნათ.
ფონდების შესახებ საკმაოდ უარყოფითი წარმოდგენა შე-
მექმნა იმ დროს, როდესაც მათგან ფულის მიღებას ვცდი-
ლობდი, და აზრი არც მას შემდეგ შემიცვლია, რაც თავად
წარმოვადგენ ფონდს. ალტრუიზმს თავისთავად ახასიათებს
გარკვეული შინაგანი წინააღმდეგობრიობა, მაგრამ ფონდ-

ების უმრავლესობა ამას არც აღიარებს და არც პრობლემის გადაჭრას ცდილობს. როდესაც ფულს გასცემ, ფულის მიმღებნი მლიქვნებლობენ და ცდილობენ, რომ გასიამოვნონ, ამიტომ წინააღმდეგეობრიობას ფარისევლობის სქელი ფენა ფარავს. სწორედ ამ მიზეზით ვეკიდები ფილანთროპიას ეჭვით. ფონდები ქმნიან წესებს და სხვები იძულებული არიან, რომ ამ წესების მიხედვით იმოქმედონ. ცხადია, აპლიკანტებს მაინც შეუძლიათ, რომ თავისი გაიტანონ: უთხრან ფონდებს ის, რისი გაგონებაც მათ სურთ, ხოლო შემდეგ თავად რაც უნდათ ის გააკეთონ.

და მაინც, მე გადავჭერი წინააღმდეგობა, რომელიც, ერთი შეხედვით, ეგოცენტრისტ ფილანთროპია და უანგარო ფონდს შორის არსებობს. ცნობიერება საკუთარი თავის შეცნობაში დამეხმარა და ისიც დამანახვა, რომ ჩემი ცნობიერების ნაყოფით მხოლოდ მე, ერთი მოკვდავი ადამიანი, არ უნდა ვსარგებლობდე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მე ძალზე დიდი ეგო მაქვს, რომელიც წარმოუდგენლად დიდია ერთი მოკვდავისათვის. მისთვის შესაფერ მასშტაბს მხოლოდ იმ შემთხვევაში მივალნევ, თუ კაცობრიობასთან მოვახდენ ჩემი თავის იდენტიფიცირებას. ჩემ გარშემო მცხოვრები რამდენიმე ადამიანის დახმარება, როგორც ამას მამაჩემი აკეთებდა, საკმარისი არ არის. ჩემი მისწრაფება მსოფლიოს უკეთესობისკენ შეცვლაა. სწორედ აქ იძენს მნიშვნელობას ჩემი კონცეპტუალური ჩარჩო. ის ჩემი უზომოდ დიდი ეგოს წყაროცაა და იმ სისტემური რეფორმებისაც, რომლებსაც მხარს ვუჭერ. თუ რაიმე განსაკუთრებულ ცოდნას მართლაც დავეუფლე, მაშინ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მეკისრება, რომ ეს ცოდნა კარგი მიზნების მისაღწევად გამოვი-

ყენო. პასუხისმგებლობის ჩემს შეგრძნებას ისიც აძლიერებს, რომ მდიდარი ვარ. არიან მდიდრები, არიან განსაკუთრებული ცოდნის მქონენი და ისინი, ვისაც კაცობრიობის ბედი აღელვებს, მაგრამ სამივე ეს მახასიათებელი იშვიათად იყრის თავს ერთ ადამიანში. ჩემს ამბიციას მხოლოდ მათი კომბინაცია აკმაყოფილებს.

უნდა ავხსნა ჩემს ფილოსოფიასა და ჩემს ეგოს შორის კავშირიც. თავდაპირველად ისინი გადაჯაჭვული იყო. როდესაც პირველად დავიწყე რეფლექსიურობის შესახებ წერა, ამ იდეას მხოლოდ იმიტომ ვებღაუჭებოდი, რომ ჩემი იყო. მასთან განშორება არ შემეძლო. მისი არტიკულირების მცდელობები სულ უფრო და უფრო ჩახლართული გამომდიოდა, სანამ ერთ დილას არ აღმოვაჩინე, რომ თავად ვეღარ ვიგებდი იმას, რაც წინა ღამით დავწერე. ჩემი ფილოსოფიისგან ჩემი ეგოს გამიჯვნას ცხოვრების დიდი ნაწილი მოვანდომე და ამ მცდელობის წარმატებით ორივემ იხეირა. დღეს, ჩემი ფილოსოფია გამოხატულებას ჩემს ნაწერებშიც პოულობს და ჩემს ფონდებშიც, ხოლო ჩემს ეგოს შეუძლია, რომ მათი ცქერით დატკბეს.

რადგანაც ჩემი ფილანთროპია ეგოს დაკმაყოფილების საშუალებაა, ვფიქრობ, რომ ამ ფილანთროპიისთვის მაღლობას არ ვიმსახურებ. მართლაც, მრცხვენოდა ხოლმე, როდესაც ადამიანები მაღლიერებას გამოხატავდნენ. მიმაჩნდა, რომ დიდი ეგო, რომელიც ჩემი ფილანთროპიის მიზეზი იყო, საზოგადოებისთვის მიუღებელი იქნებოდა, საჯაროდ რომ გამომეფინა, ამიტომაც უხერხული იყო მის გამო მაღლობების მიღება. თუმცა, ახლა ასე აღარ ვფიქრობ. ვაცნობიერებ, რომ

მართლაც ძალიან ბევრს დავეხმარე და ადამიანებიც სწორედ ამას ხედავენ და არა ჩემს მეტისმეტად დიდ ეგოს, ამიტომაც ბუნებრივია, რომ ჩემთვის მადლობის თქმა უნდათ. მადლობის მიღება ვისწავლე. ამავე დროს, ალარ მგონია, რომ უნდა მრცხვენოდეს ასეთი დიდი ეგოსი, რადგანაც ის სასარგებლო აღმოჩნდა ჩემთვისაც და ბევრი სხვა ადამიანისთვისაც. თუმცა, დიდი ეგოს დაკმაყოფილება ძნელია. რადგანაც ფილანთროპიასთან დაკავშირებულ ფარისევლობას კარგად ვიცნობ, ქებითა და მლიქევნელობით ვერავინ დამაკმაყოფილებს. მათდამი გულრილი ვარ და რეალური შედეგების დანახვა მსურს. სწორედ ასე შექმნა ეგოისტმა ადამიანმა უანგარო ფონდი.

თუმცა, კვლავაც მაოცებს და მაწუხებს ის, რომ ჩემ შესახებ სხვების წარმოდგენა დიდად განსხვავდება იმისგან, თუ ვინ ვარ სინამდვილეში. სწორედ ეს მაიძულებს, რომ ყველაფრის ახსნა ვცადო. ალტრუიზმი და ფილანთროპია ჩემთვის მხოლოდ მოვალეობა კი არ არის, არამედ სიამოვნება და კმაყოფილების წყაროცაა. ეს ფულუნებაა, რომელზეც მდიდრებს მიუწვდებათ ხელი. ფილანთროპია ბევრად მირჩევნია, მაგალითად, ხელოვნების ნიმუშების შეგროვებას. მან სხვა ადამიანებთან დამაკავშირა და ჩემი იზოლაციის გარღვევის შესაძლებლობა მომცა. ხელოვნების ნიმუშების კოლექციით ამას ვერ შევძლებდი. იმ დღეს, როდესაც ლიდენჰოლის ქუჩაზე პანიკის შეტევა დამემართა, ვიფიქრე, სიმდიდრის დაგროვებისთვის სიკვდილი არ ლირს-მეთქი. მას შემდეგ რამდენჯერმე დამემუქრა სიკვდილის საფრთხე ჩემს ფონდთან დაკავშირებული საქმიანობის გამო. ასეთ ხიფათს თავად არ ვეძებ, მაგრამ მზად ვარ, რომ თვალი გავუსწორო მას. კმაყო-



ფილების განცდას მანიჭებს ისეთ საქმიანობაში მონაწილეობა, რომელიც სიკვდილადაც ღირს.

განსაკუთრებული მდგომარეობა მიჭირავს. ფინანსურ ბაზრებზე ჩემმა წარმატებამ იმაზე მეტი დამოუკიდებლობა მომაპოვებინა, ვიდრე უმრავლესობას აქვს. ეს საშუალებას მაძლევს, რომ წინააღმდეგობრივ საკითხებზე პრინციპული პოზიცია დავიკავო, მეტიც – მავალდებულებს, ასე მოვიქცე, რადგან სხვებს ეს არ შეუძლიათ. საკამათო პოზიციების დაკავება დამატებით სიამოვნებას მანიჭებს, რომლის წყარო იმის განცდაა, რომ განსაკუთრებულ მდგომარეობას მივაღწიე. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩემმა ფილანთროპიამ გამაბედნიერა. მეტი რაღა უნდა მოინდომოს ადამიანმა? თუმცა არ ვფიქრობ, რომ ჩემი არჩევანი სხვებს თავს უნდა მოვახვიო. სწორედ ამიტომ არ შევუერთდი ბილ გეითსის და უორენ ბაფეტის კამპანიას, რომლებმაც მდიდრებს მოუწოდეს, რომ ქონების ნახევარი ქველმოქმედებისთვის გაელოთ. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ, ჩემი აზრით, ფილანთროპიაში მთავარი ის არის, თუ როგორ იხარჯება ფული და არა ის, თუ რამდენი იხარჯება.

ცხადია, რომ წმინდანი არა ვარ და არც იმას ვცდილობ, რომ გავხდე. ზოგადად ვერაფერს ვხედავ იმაზე უფრო არაბუნებრივს და დაუფასებელს, ვიდრე უანგარობაა, მაგრამ უანგარო ფონდი ძალზე ღირებულად მიმაჩნია.

ადამიანების უმრავლესობა საზოგადოებრივ საქმეებში ეგო-ისტური მოტივებით მონაწილეობს. ისინი მოპოვებულ ძალაუფლებასა და გავლენას ებლაუჭებიან და ხშირად ძნელია მათი გვერდზე გაწევა, როდესაც ისინი პრობლემების გად-

აჭრას უშლიან ხელს. ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს ორი დაბრკოლება უშლის ხელს: არასრული ცოდნა და სპეციალური ინტერესების გავლენა, რომლებიც საზოგადოებრივ ინტერესებს უპირისპირდება. პირველი დაბრკოლების წინაშე უანგარო ფონდიც დგას, მაგრამ მეორისგან დაცულია და სწორედ ამიტომ არის ასე ფასეული.

ჩემი პრინციპია, რომ ბიზნესში ჩემი კერძო ინტერესების მიხედვით ვიმოქმედო და მხოლოდ სამართლებრივი და ეთიკური შეზღუდვები გავითვალისწინო, ხოლო საჯარო ინტელექტუალისა და ფილანთროპის რანგში საზოგადოებრივი ინტერესებით ვიხელმძღვანელო. თუ კერძო და საზოგადოებრივი ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, უპირატესობა საზოგადოებრივს უნდა მიენიჭოს. უყოფმანოდ ვუჭრ ხოლმე მხარს პოლიტიკას, რომელიც ჩემი ბიზნესის ინტერესებს ეწინააღმდეგება და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი დემოკრატია ბევრად უკეთ იმუშავებდა, ამ პრინციპის მიხედვით მეტი ადამიანი რომ მოქმედებდეს. თუ ადამიანებს კარგად მოუშავე დემოკრატია სურთ, მათ ამ პრინციპით უნდა იცხოვონ, იმისდა მიუხედავად, აკეთებენ თუ არა იმავეს სხვები. რამდენიმე გამბედავ საჯარო ფიგურას ბევრი რამის შეცვლა შეუძლია.

ნება მიბოძეთ, ერთმანეთს დაუუპირისპირო ჩემ მიერ შემოთავაზებული რეფლექსიურობის თეორია და საბაზრო ფუნდამენტალიზმის იდეოლოგია, რომელიც რონალდ რეიგანის პრეზიდენტობისა და ბრიტანეთში მარგარეტ თეტჩერის პრემიერ-მინისტრობის პერიოდიდან დომინირებს. რეფლექსიურობის ჩემი თეორიის მიზანი იმის ახს-

ნა იყო, თუ როგორ ფუნქციონირებენ ფინანსური პაზრები ჩემი, როგორც ერთ-ერთი მონაწილის, ინტერესებისგან და-მოუკიდებლად. საბაზრო ფუნდამენტალიზმის იდეოლოგია ამის ახსნასაც გვთავაზობს, მაგრამ ეს ახსნა მისი მხარ-დამჭერების ინტერესებს ემსახურება. ამიტომაც გასაკ-ვირი არ არის, რომ რეფლექსიურობის თეორია გამიზნუ-ლად იყო იგნორირებული, ვიდრე ფინანსური სისტემა არ ჩამოინგრა. თუ პოლიტიკის ადვოკატირებაზე ვისაუბრებთ, შეგიძლიათ ჩემი საქმიანობა ძმები კოუკების ან ამერიკის სავაჭრო პალატის საქმიანობას შეადაროთ. ისინი თავიანთ ბიზნესინტერესებს იცავენ, მე კი საჯარო ინტერესებისთ-ვის ვიღვწი იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ეს ჩემს ბიზნე-სინტერესებს ეწინააღმდეგება, თუმცა, ცხადია, რომ შეც-დომები ყველას მოგვდის. გასაკვირი არ არის, რომ ისინი მეტი ფულის მობილიზებას ახერხებენ.

როდესაც ფონდების ქსელს ვუყურებ, მთლიანობაში კმაყო-ფილი ვარ, თუმცა ორი რამ მეტად მაშტოთებს. პირველი ის არის, თუ რა მოხდება, როდესაც ლია საზოგადოების ფონდ-ების პრეზიდენტი არიე ნეიერი და მე აღარ ვიქნებით. მეორე კითხვა უფრო მნიშვნელოვანია: კიდევ რის მიღწევა შეგვი-დლია ჩვენი სიცოცხლის ბოლომდე?

როდესაც ლია საზოგადოების ფონდები დავაარსე, არ მსურ-და, რომ მათ ჩემი სიკვდილის შემდეგაც გაეგრძელებინათ მუშაობა. სხვა ინსტიტუტების ბედმა მასწავლა, რომ ისინი ხშირად ძალზე შორდებიან მათი დამაარსებლების განზრახ-ვებს. თუმცა აზრი შევიცვალე, როდესაც ლია საზოგადოე-ბის ფონდებმა უფრო ჩამოყალიბებული სახე მიიღო. მივხ-

ვდი, რომ ჩემი სიკვდილის შემთხვევაში ფონდების ქსელის გაუქმება უკიდურესად ეგოისტური ნაბიჯი იქნებოდა, დაახლოებით ისეთი, როგორიც ინდოელი მაჰარაჯის ნეშტან ერთად მისი ცოლების დაწვაა. ლია საზოგადოების ფონდების საქმიანობას თავის ცხოვრებას არაერთი გამორჩეული შესაძლებლობების მქონე ადამიანი უთმობს და უფლება არ მაქვს, რომ მათ საყრდენი გამოვაცალო. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ისეთი სფერო გამოვავლინეთ, სადაც საქმიანობა ჩემი სიკვდილის შემდეგაც უნდა გაგრძელდეს და ამისთვის არც არის ან ჩემი მონაწილეობა იქნება საჭირო. ეს ნიშა მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას მთავრობის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით. ამერიკაში არაერთი ინსტიტუტი არსებობს, მაგალითად, ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებების კავშირი, რომელთა მიზანია, რომ მთავრობამ ყველა ადამიანის უფლება დაიცვას და პატივი სცეს კონსტიტუციით დადგენილ სახელმწიფო ძალაუფლების შეზღუდვებს. სხვა ქვეყნების უმრავლესობაში ასეთი ინსტიტუტები არ არსებობს. ბევრ ქვეყანაში მდიდრები მეტისმეტად არიან დამოკიდებული მთავრობაზე იმისთვის, რომ ასეთი ინსტიტუტების მხარდაჭერა შეძლონ, ხოლო განვითარებად ქვეყნებში საკმარისი სიმდიდრე არ მოიპოვება. სწორედ ეს ქმნის ნიშას ლია საზოგადოების ფონდებისთვის. საქმიანობის სხვა მიმართულებებიც გამოვავლინე, რომლებიც ამავე კატეგორიას მიეკუთვნება, მაგალითად მოწყვლადი ჯგუფების დაცვა და ღარიბებისთვის სამართლებრივი დახმარების გაწევა. ეს ღირებული ამოცანებია და ფონდების ქსელი მათ გადაჭრას ჩემი სიკვდილის შემდეგაც ეცდება.

თუ ჩემი წასვლით ლია საზოგადოების ფონდებს რაიმე დააკლდება, ეს იქნება მათთვის დამახასიათებელი გაბეჭდული და ინოვაციური სულისკვეთება. პრობლემებთან გამკლავებას ცდისა და შეცდომებზე სწავლის გზით ვცდილობ ხოლმე. ამან საშუალება მომცა, რომ სწრაფად მემოქმედა და დიდ რისკებზე წავსულიყავი. მმართველი საბჭო, რომელიც ჩემს ადგილს დაიკავებს, ჩემი მაგალითის მიხედვით ვერ იმოქმედებს ფინანსური პასუხისმგებლობის ტვირთის გამო. მისი ზოგიერთი წევრი ეცდება, რომ დამაარსებლის განზრახვების ერთგული დარჩეს, სხვები კი რისკს მოერიდებიან, თუმცა კი დამაარსებელს რისკი არასდროს აფრთხობდა.

ლია საზოაგდოების ფონდების სტრუქტურა ძალზე რთულია იმისთვის, რომ დღევანდელი სახით იქნეს შენარჩუნებული. ჩვენი ზრდა სრულიად დაუგეგმავი იყო. როგორც ადრეც ვთქვი, სწრაფი გაფართოების პერიოდში, როდესაც ჩვენი ხარჯები 3 მილიონიდან 300 მილიონ დოლარამდე გაიზარდა, ბიუჯეტიც კი არ გვქონდა. შემდეგ არიე ნეიერი შემოგვიერდა და და ამ ქაოსის ნაცვლად გარკვეული წესრიგი დაამყარა. ახლა ძალზე რთული საბიუჯეტო პროცესი გვაქვს, რომლის მომზადებას დიდი დრო სჭირდება და რომელიც ბიუჯეტის დამტკიცებამდე დიდი ხნით ადრე უნდა დაიწყოს. ეს პროცესი დიდად არასდროს მაინტერესებდა. წარმოქმნილი შესაძლებლობების შესაბამისად მოქმედება ჩემთვის ბევრად უფრო საინტერესო იყო. შედეგად, ახლა ჩვენი ფონდები ფონდის ორ განსხვავებულ ტიპს აერთიანებენ: ინიციატივები, რომლებშიც პირადად ვმონაწილეობ, ძალზე მოქნილი ბიუჯეტით ხორციელდება, ხოლო ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში არიე უდგას, მკაცრად განსზაღვრული ბიუჯეტის მიხედვით

მუშაობს. როდესაც ინიციატივები ჩამოყალიბებულ სახეს იღებს, ისინი, როგორც წესი, ჩემი ხელიდან არიეს ხელში გადადის ხოლმე. ამავე დროს, ადამიანის უფლებების, სამოქალაქო უფლებებისა და სისხლის სამართლის სფეროებს თავიდანვე მთლიანად ის მართავდა.

ჩვენი პარტნიორობა ძალზე ნაყოფიერი გამოდგა, მაგრამ იმავდროულად შვა მეტად მოუწესრიგებელი სტრუქტურა, რომლის მართვა ჩვენს არყოფნაში შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ მისი რეორგანიზება იქამდე უნდა მოვასწროთ, ვიდრე აქ ვართ. დღევანდელი მდგომარეობით ახალ პრეზიდენტს რამდენიმე წელი მხოლოდ ორგანიზაციის გასაცნობად დასჭირდებოდა. მინდა, რომ ექვსიდან რვამდე ვიცე-პრეზიდენტი დავნიშნო, რომლებიც ორგანიზაციის ცალკეულ ნაწილებს ჩაიბარებენ და ახალ პრეზიდენტს ანგარიშებს წარუდგენენ, რაც მას საშუალებას მისცემს, რომ სტრატეგია ჩამოაყალიბოს და ახალი ინიციატივები განიხილოს. თუმცა, ნებისმიერ ფასად უნდა ავიცილოთ თავიდან ცენტრალიზებული სტრუქტურა. ამჟამად ინოვაციური იდეების დიდი ნაწილი ქსელების ქსელის წიაღში ჩნდება და არა ორგანიზაციის სათავეში. ღია საზოგადოების ფონდებში მომუშავე საუკეთესო ადამიანები განსაკუთრებულ ინტერესს იჩინენ მათი საქმიანობის სფეროების მიმართ და მუდმივად მაოცებენ თავიანთი მიღწევებით. ამ სულისკვეთების დაკარგვა არ მსურს.

ესაა მთავარი მიზეზი, რის გამოც ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში საჯარო პოლიტიკის სკოლის დაარსება გადავწყვიტე. სასწავლო ინსტიტუტს შეუძლია, რომ მოვლენ-

ების განვითარებას არ ჩამორჩეს და უფრო სწრაფად განსაზღვროს პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, ვიდრე ფონდის სამეურვეო საბჭომ.

საჯარო პოლიტიკის სკოლაზე დიდ იმედებს ვამყარებ. მას იმის პოტენციალი აქვს, რომ ამ ტიპის ინსტიტუტებს შორის წამყვანი გახდეს. ამ სკოლას შეუძლია გააერთიანოს ფონდების ქსელისა და ქსელების ქსელის პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც დღევანდელობის თითქმის ყველა აქტუალური საკითხით არიან დაკავებული და, ასევე, უნივერსიტეტში არსებული თეორიული ცოდნა. ამჟამად ამ აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენ მიერ წარმოებული საქმიანობა მოცულობით აღემატება ჩვენს თეორიულ ცოდნას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფული მეტი გვაქვს, ვიდრე იდეები. მეტი იდეის გენერირება გვჭირდება, რათა ჩვენი ფული უფრო ეფექტიანად დავხარჯოთ. თუ ამ პროცესს სკოლას გადავაბარებთ, სკოლა საზოგადოებრივ სიკეთებს შექმნის, რომელიც შეიძლება პროდუქტად ჩაითვალოს. იგივე სამუშაო ორგანიზაციის შიგნით რომ შეგვესრულებინა, როგორც ამას ფონდების უმრავლესობა აკეთებს, ის ზედნადები ხარჯი იქნებოდა.

როგორც ყველა იდეას, წაკლი ამასაც აქვს: ყველა საუკეთესო აზრს ერთ ადგილას ვერ იპოვი. ამიტომაც სკოლამ თავად უნდა მიაგნოს იდეებს. ის ახალი ტიპის გლობალური ინსტიტუტი უნდა გახდეს, რომელიც გლობალური პრობლემებით იქნება დაკავებული. მას უნდა ჰქონდეს კრიტიკული მასა ბუდაპეშტში, სადაც ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი მდებარეობს, მაგრამ, ამასთან, გლობალური წვდომაც

სჭირდება. ეს არის რთული გამოწვევა, რომელსაც ის უნდა გაუმკლავდეს. თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების კომპინაცია შემდგომ შეიძლება ჩინებული საფუძველი აღმოჩნდეს მათთვის, ვისაც ამ სფეროში საქმიანობის დაწყება სურს. იმას, ვინც ქსელების ქსელის მუშაობაში უკვე ჩართულია, შესაძლებლობა ექნება, რომ ამ სკოლაში სამეცნიერო შვებულება გაატაროს, თავისი კარიერული პერსპექტივები გაიუმჯობესოს და მონაწილეობა მიიღოს კვლევასა და სწავლებაში. ჩემი იმედები რომ გაამართლოს, სკოლამ იმ გაბედული და სიახლეებზე ორიენტირებული სულისკვეთების ინსტიტუციონალიზება უნდა მოახდინოს, რომელიც ღია საზოგადოების ფონდებს ახასიათებს. ეს ჩვენი ძირითადი შეხედულებებისა და პრაქტიკული საქმიანობის კრიტიკულ განხილვასაც უნდა მოიცავდეს.

მართალია, ფონდების ქსელი იმდენად კარგად იმართება, რამდენადაც მისი ამჟამინდელი ფორმის გათვალისწინებით არის შესაძლებელი, ეს ფორმა მხოლოდ იქამდე იარსებებს, ვიდრე მე და არიე ნეიერი ცოცხლები ვართ. არიე ვორკაპოლიკია, რომელიც ძალიან ბევრი ხალხისაგან იბარებს ანგარიშებს. ჩემს მენეჯმენტის სტილს მხოლოდ ქაოსური შეიძლება ეწოდოს. ცდისა და შეცდომებზე სწავლის მეთოდს იმ მასშტაბით ვიყენებ, რომ ვერ მომპაძავს ვერც ერთი სამეურვეო საბჭო, რომელსაც ახსოვს თავისი ფინანსური პასუხისმგებლობა. არც ერთ ჩვენგანს არ სჯერა პროგრამების შეფასების რაოდენობრივი მეთოდებისა. პირადად მე გამიჭირდება ღირებულებათა იმ სისტემის აღწერა, რომელსაც სხვადასხვა ალტერნატივიდან ერთ-ერთის შერჩევისას ვიყენებ.

ინოვაციები მიყვარს, მაგრამ მდგრადობისა და თანამიმდევრულობის მნიშვნელოვნებასაც ვაღიარებ. ამიტომაც ვციფლობ, რომ ამ ორ ელემენტს შორის წონასწორობა და-ვიცვა. შედეგად ვიღებ იმას, რასაც „მემკვიდრეობითი“ და „ინოვაციური“ პროგრამების ნაზავს ვუწოდებ. ასეც უნდა იყოს. თანამიმდევრული მუშაობის გარეშე ბევრი იმედისმომცემი ინიციატივის სრულად რეალიზება ვერ მოხერხდებოდა.

წარმატებით ვახერხებთ, რომ მოვლენების ცენტრში ვიყოთ. ყოველ ქვეყანაში ჩვენ საქმიანობას კრიტიკული აზროვნების ან დისიდენტური საქმიანობის მხარდაჭერით ვიწყებთ და სწრაფად ვმოქმედებთ, როდესაც ახალ მთავრობას კარგი მიზნები აქვს, მაგრამ მათ მისალწევად საჭირო რესურსები არ გააჩნია. თანაც, ჩვენ უფრო თანამიმდევრულები ვართ, ვიდრე დახმარების გამწევი ოფიციალური სააგენტოები და ქვეყნებში კიდევ დიდხანს ვრჩებით მას შემდეგ, რაც ისინი უფრო საინტერესო ადგილებში გადაინაცვლებენ ხოლმე. იგ-ივე შეიძლება ითქვას გლობალური მმართველობის საკითხებზეც: ჩვენ ყოველთვის არ ვიყავით პირველები, ვინც ამ საკითხებს ყურადღებას აქცევდა, მაგრამ, თუ რაიმე საკითხი ჩვენი თვალთახედვის არეში მოექცევა, ბოლომდე საქმის ერთგული ვართ, იქნება ეს შიდსთან, ტუბერკულოზთან და მაღარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი, ნარკოპოლიტიკა თუ კლიმატის ცვლილება.

ჩვენთვის ყველაზე რთული ეროვნული ფონდების ქსელისა და „მემკვიდრეობითი“ პროგრამების მოძველების თავიდან აცილება აღმოჩნდა, რადგანაც ეს თითქმის ისეთივე ძალისხმევას მოითხოვს, როგორც ახალი ფონდებისა და პროგრამე-

ბის შექმნა. თუმცა, მე მაინც ინოვაციური წამოწყებებისკენ მაქვს მიღრეკილება და სწორედ ამ მხრივ ველი დახმარებას სავჯარო პოლიტიკის სკოლისგან. მისი დანიშნულება ახალი მიჯნების ძიებაა, რის წყალობითაც მემკვიდრეობითი პროგრამების აქტუალურობის უზრუნველყოფა ჩემს არყოფნაშიც უნდა შეძლოს.

სამომავლოდ უპირატესობას ქსელების ქსელის ფორმატს ვანიჭებ. ფორმალურად თვითმმართველი ინსტიტუტების ქსელის მხარდაჭერა, რომელთა ბიუჯეტის მხოლოდ ერთი მესამედი მოდის ჩვენ მიერ განეულ დახმარებაზე, საშუალებას გვაძლევს, ავიცილოთ მმართველობის პრობლემები, რომლებსაც წავაწყდებოდით, ინიციატივები მთლიანად ჩვენს დაფინანსებაზე რომ იყოს დამოკიდებული. ჩვენი ბოლოდროინდელი ინიციატივების უმრავლესობა ქსელების ქსელზე მოდის, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დახმარების მათი ბიუჯეტის მესამედამდე დაყვანა, ან უფრო მეტად შემცირება ვერ შევძელით. თუმცა მთლიანად ქსელების ქსელად გარდაქმნა არ შეგვიძლია, რადგანაც მრავალი ღირებული ინიციატივა სხვა წყაროებიდან ვერ დაფინანსდება და მათი იგნორირება არ შეგვიძლია. ეს არსებულ ქსელსაც ეხება და სამომავლო ინიციატივებსაც, და გულისხმობს, რომ მოუწესრიგებელი სტრუქტურის პირობებში მუშაობა კიდევ განუსაზღვრელი პერიოდის განმავლობაში მოგვიწევს.

ვეძებ ინოვაციურ მეთოდებს, რათა შესაძლებელი გახდეს მოუწესრიგებელი სტრუქტურის მართვა. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის ტაილანდსა და მალაიზიაში,

ექსპერიმენტის სახით მხოლოდ ადგილობრივ მრჩეველ-თა საბჭოებს ვქმნით სრულფასოვანი ფონდების გარეშე. საბჭოებს შეუძლიათ რჩევების შემოთავაზება ადგილობრივი მდგომარეობის თაობაზე, ხოლო პროგრამებს ან დამოუკიდებელი გრანტის მიმღებები განახორციელებენ, ან რომელიმე ჩვენი ქსელური პროგრამა. ამრიგად შესაძლებელია ადგილობრივი და პროგრამული ცოდნის შენარჩუნება ძვირად ღირებული ადგილობრივი ორგანიზაციების არსებობის გარეშე, რომლებიც მეტწილად თავიანთი მუდმივი კლიენტებისთვის ფულის დარიგებით არიან დაკავებულნი. თუ ეს ექსპერიმენტი წარმატებული გამოდგება, არსებული ეროვნული ფონდები შეიძლება ახალი ფორმატის მიხედვით გარდაიქმნას. მეორე ვარიანტია, რომ ისინი ქსელების ქსელს შეუერთდნენ, განსაკუთრებით, თუ სხვა წყაროებიდან დაფინანსების მოპოვებას შეძლებენ.

რადგან გადავწყვიტე, რომ ღია საზოგადოების ფონდებმა ჩემი სიკვდილის შემდეგაც უნდა იარსებონ, ყველაფერს ვაკეთებ, რომ ისინი ჩემს არყოფნას მომზადებულები შეხვდნენ. თუმცა ჩემი ეს მცდელობა ბოლომდე წარმატებული რომ ყოფილიყო, მცდარი აღმოჩნდებოდა ჩემივე რწმენა, რომ ადამიანების მიერ შექმნილი არც ერთი სტრუქტურა სრულყოფილი არ არის. ამიტომაც ჩემს მემკვიდრეებს ვანდობ ჩემ მიერ დატოვებული ნებისმიერი სისტემის გადასინჯვას იმავე სულისკვეთებით, რომლითაც თავად შევქმნი ისინი.

გვრჩება მეორე კითხვა: კიდევ რის მიღწევა შეუძლიათ ლია საზოგადოების ფონდებს ჩემს სიცოცხლეში? ვფქრობ, რომ ახლა უფრო ფართო შესაძლებლობები გვაქვს, ვიდრე წარსულში. მართალია, მსოფლიოს მრავალ კუთხეში ბევრი მტერი და წილისმნამებელი გვიპირისპირდება, მაგრამ ჩვენი საქმიანობით დავამტკიცეთ, რომ მართლაც კაცობრიობის კეთილდღეობაზე ვზრუნავთ, თანაც აქტიურად ვმონაწილეობთ დღევანდელობის მრავალი მწვავე საკითხის განხილვაში. ახლა შესაძლებელია ჩვენი საქმიანობის მასშტაბის გაზრდა, რაც გულისხმობს, რომ ჩემი ფულის ჩემსავე სიცოცხლეში დახარჯვა ჯობია ფონდის რეზერვის გადიდებას. ამასთან, ვფიქრობ, რომ კაცობრიობა დღეს უფრო დიდი პრობლემების წინაშე დგას, ვიდრე ოდესმე წარსულში.

შესაძლებლობები მეტწილად შედა ფაქტორების გამოა შეზღუდული. ჩვენს საქმიანობას დღევანდელი მიმართულებებით ვერ გავაფართოებთ, რადგანაც უკვე რესურსების ზღვარზე ვმუშაობთ. მეტიც, ჩვენი ამჟამინდელი ძალისხმევის დიდი ნაწილი ადვოკატირებაზე მოდის, ხოლო ადვოკატირებას იდეები უფრო სჭირდება, ვიდრე ფული. არ მიყვარს ადვოკატირებაზე ბევრი ფულის ხარჯვა. მირჩევნია, რომ ფული ისეთი მომსახურებისთვის გამოვყო, რომელსაც რეალური ადამიანებისთვის მოაქვს სარგებელი, როგორიცაა სტიპენდიები, შპრიცების უფასოდ დარიგება ან უფასო ადვოკატები. სისტემური რეფორმების ადვოკატირებაზე დახარჯული ფული შეიძლება მთლიანად წყალში გადაყრილი აღმოჩნდეს. ადამიანების დახმარებაზე დახარჯული ფული, სულ მცირე, ამ დახმარების მიმღებთ მაინც მოუტანს სარგებელს და ის

სისტემური რეფორმის ადვოკატირების კარგი პლატფორმა-ცაა.

ჩემი აზრის საილუსტრაციოდ ძველ საბჭოთა ხუმრობას ვიხ-სენებ ხოლმე ბატის ღვიძლის პაშტეტის შესახებ. საბჭოთა მოხელე ამბობს, რომ ბატის ღვიძლის მცირე დეფიციტი წარ-მოიქმნა, ამიტომ მას ცხენის ხორცი უნდა დაემატოს. თუმ-ცა, თანაფარდობა საკმაოდ შთამბეჭდავია: ერთი ცხენი ერთ ბატის ღვიძლზე. ადვოკატირებაც ასე უნდა შევაზავოთ რე-ალური ადამიანების დახმარებაზე გათვლილ მომსახურებას-თან: ერთი ცხენი ყოველ ბატის ღვიძლზე. თუმცა, მხოლოდ მომსახურებაზე დახარჯული ფულის ოდენობის ზრდა ვერ დამაკმაყოფილებს, რადგანაც კარგად ვაცნობიერებ უპრეც-ედენტო პრობლემებს, რომელთა წინაშეც დგას ახლა ჩვენი ცივილიზაცია და ვფიქრობ, რომ, ფონდების ქსელის დღევან-დელი შესაძლებლობების გათვალისწინებით, ის ამ პრობლე-მების გადაჭრით უნდა იყოს დაკავებული.

ვფიქრობ, რომ კაცობრიობის უნარი, ახნას და აკონტროლოს ბუნების ძალები, ბევრად აღემატება ჩვენსავე უნარს, რომ ჩვენი თავი ვმართოთ. ჩვენი ეკონომიკა გლობალური გახდა, მმართველობა კი – არა. ჩვენი მომავალი და, გარკვეული თვალსაზრისით, ჩვენი გადარჩენა, იმაზეა დამოკიდებული, შევძლებთ თუ არა სათანადო გლობალური მმართველობის შექმნას. ეს სხვადასხვა სფეროს ეხება: გლობალური დათ-ბობა და ბირთვული იარაღის გავრცელება ყველაზე აშკა-რა მაგალითებია, თუმცა იმავე კატეგორიას განეკუთვნება ტერორიზმის საფრთხე და ინფექციური დაავადებები, ასევე გლობალური ფინანსური ბაზრები. 2008 წლის ფინანსური

კრიზისის შემდეგ მხოლოდ ფინანსური ბაზრების სტაბილიზაცია და გადატვირთვა საკმარისი არ არის. ჩვენ ხელახლა უნდა შევქმნათ გლობალური ფინანსური სისტემა, რომელმაც კრახი განიცადა. რადგანაც ეს გააზრებული მაქვს, არ შემიძლია, რომ არაფერი გავაკეთო ამ პრობლემების გადასაჭრელად. სწორედ აյ მოქმედებს ჩემი მოვალეობის შეგრძნება.

ორი მთავარი პრიორიტეტი მაქვს. პირველი პირადია, მეორე კი ჩემს ფონდებს ეხება. პიროვნულ დონეზე ჩემი მთავარი ინტერესი ჩემი კონცეპტუალური ჩარჩოს განვითარებაა, რომელსაც პრივატულად, ჩემს გონიერებაში ვქმნიდი. მართალია, ჩემს წიგნებს, სტატიებსა და საჯარო გამოსვლებს ფართო აუდიტორია ჰყავს, მაგრამ დიდად არავინ დამხმარებია და ბოლო დრომდე არც კომენტარები მიმიღია ვინმესგან, რის გამოც ძალზე ნელა მივიწევდი წინ. ფინანსური ბაზრების შესახებ ჩემმა მოსაზრებამ დააინტერესა ჰეჯ-ფონდების წარმომადგენლები და პრაქტიკული საქმიანობით დაკავებული სხვა პირები, მაგრამ ისინი თეორიულ დისკუსიებში იშვიათად მონაწილეობენ, ამიტომაც მათგან კომენტარები არ მიმიღია. ეკონომისტი მეცნიერები და, ნაწილობრივ, ფინანსური სისტემის მარეგულირებლები რეფლექსიურობის თეორიას მიზანიმართულად არ მიიჩნევდნენ ან აკინებდნენ მას. ინგლისის ბანკის მმართველმა მერვინ კინგმა ჩემი თეორია ისე დაიწუნა, რომ არც კი განუხილავს.

ფინანსურმა კრიზისმა ყველაფერი შეცვალა. მერვინ კინგმა ძირეულად გადახედა თავის მოსაზრებებს და აღიარა, რომ ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა ენდოგენურია და არა ეგზოგენური. რეფლექსიურობას საჯაროდ დაუჭირა

მხარი ფინანსური სტაბილურობის სააგენტოს (FSA) ხელმძღვანელმა, ლორდმა ადაირ ტერნერმა. ასევე მოიცა ალან გრინსპენიც, თუმცა მხოლოდ პირად სუაბარში. პოლ ვოლკერი უწინაც ჩემი მეგობარი და მხარდამჭერი იყო, ახლა კი კიდევ უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს.

კატეგორიულად ვენინაალმდეგებოდი აშშ-ის ხაზინის მდივან ჰენკ პოლსონის გეგმას, რომელიც საჯარო ფონდის (TARP) საშუალებით ბანკების დახმარებას და პრობლემური აქტივებისგან მათ გათავისუფლებას გულისხმობდა. ვამტკიცებდი, რომ გაცილებით უკეთესი იქნებოდა ამ ფულით არსებული ხვრელის ამოვსება და ბანკების კაპიტალის შევსება. მჭიდროდ ვთანამშრომლობდი დემოკრატიული პარტიის ლიდერებთან კონგრესში TARP-ის შესახებ კანონის შესაცვლელად, რათა შესაძლებელი გამხდარიყო ამ ფულის გამოყენება საწესდებო კაპიტალში წილების შესაძენად. სხვა იდეებიც მქონდა, რომელთა განხორციელების იმედი მომეცა, როდესაც ობამა პრეზიდენტი გახდა. მათ შორის იყო იპოთეკური სესხების სისტემის ძირეული რეფორმა. თუმცა ასე არ მოხდა. „ფაინენშალ ტაიმსში“ სტატიების სერია გამოვაქვეყნება, მაგრამ ობამას ადმინისტრაციისგან თითქმის არავითარი გამოხმაურება არ მიმიღია. ლარი სამერსს პრეზიდენტის ეკონომიკურ მრჩევლად მის დანიშვნამდე უფრო ხშირად ვესაუბრებოდი, ვიდრე დანიშვნის შემდეგ. ჩემთვის ყველაზე დიდი იმედგაცრუება ის იყო, რომ თავად პრეზიდენტ ობამასთან ვერავითარი პირადი კავშირი ვერ დავამყარე.

ეკონომისტი მეცნიერების დამოკიდებულების ცვლილება ბევრად უფრო დამაკმაყოფილებელი იყო. მათმა უმრავლე-

სობამ აღიარა, რომ გაბატონებულმა პარადიგმამ მარცხი განიცადა, ამიტომაც მზად იყვნენ, რომ საბაზისო ვარაუდები გადაესინჯათ. ანატოლ კალეცკის წინადადებას დავთანხმდი, რომ გავმხდარიყავი ახალი ეკონომიკური აზროვნების ინსტიტუტის სპონსორი, რომლის მისია აკადემიურ და სამთავრობო წრეებში ეფექტიანი ბაზრის ჰიპოთეზისა და რაციონალური მოლოდინების თეორიის მონოპოლიის დამსხვრევა იყო. შევკრიბე გამოჩენილი ეკონომისტების ჯგუფი, რომელშიც ნობელის პრემიის რამდენიმე ლაურეატი შედიოდა. ისინი ენთუზიაზმით შესვდნენ ჩემს წინადადებას. შევქმენით საბჭო, რომლის თავმჯდომარეც ჯოზეფ სტიგლიცი გახდა. ჩემი მეგობარი და ყოფილი კოლეგა რობ ჯონსონი ახალი ეკონომიკური აზროვნების ინსტიტუტის პრეზიდენტად დაინიშნა და შთაგონებით სავსე ლიდერი აღმოჩნდა. პირველი სემინარი, რომელიც კემბრიჯის კინგს კოლეჯში გაიმართა (სადაც ჯონ მეინარდ კეინსი მოლვანეობდა), ძალზე წარმატებული გამოდგა.

თანასპონსორიც ვიპოვე ჯიმ ბოლსილის სახით, რომელიც ბლექბერიში მოლვანეობით არის ცნობილი. ახლა კიდევ ერთ სპონსორს ვეძებთ, რომელიც დაფინანსების ერთ მესამედს გაიღებს. ვფიქრობ, რომ ეს აუცილებელია ინსტიტუტის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, რადგანაც მე სპონსორის გარდა, ალტერნატიული პარადიგმის ავტორიც ვარ.

ეს ჩინებულ შესაძლებლობას მომცემს, რომ ჩემი კონცეპტუალური პარადიგმა განვავითარო, თუმცა მისი განვითარების შესაძლებლობის ზღვარსაც ვხედავ. ჩემს ასაკში ეკონომიკური მოდელირების სწავლა ძნელია, განსაკუთრებით იმის

გათვალისწინებით, რომ მათემატიკაში ძლიერი არც ახალ-გაზრდობაში ვიყავი. ასევე მაინტერესებს გლობალური რეგ-ულირებისა და საერთაშორისო სავალუტო სისტემის საკითხები. თუმცა, როდესაც ამ საკითხებს ვულრმავდები, ვხვდები, რომ მათ დეტალებში ჩაფლობა ჩემი შეზღუდული დროისა და ენერგიის არასწორი გამოყენება იქნებოდა. რადგანაც ახლა სხვებთან ერთად მუშაობა შემიძლია, ბევრად უფრო პრო-დუქტიული ვიქნები, თუ კონცენტრირებას ზოგად სურათზე მოვახდენ.

რეფლექსიურობა და პროცესები, რომლებიც თავდაპირვე-ლად დამატებითი ხელშეწყობის გარეშეც მიმდინარეობს, მაგრამ საბოლოოდ მარცხისთვისაა განწირული, გავლენას პოლიტიკაზეც ახდენს და ფინანსურ სისტემაზეც. ნაყოფიერ შეცომებს იგივე დინამიკა ახასიათებს, რაც ფინანსურ ბუშტ-ებს. უცნაურ მსგავსებას ვხედავ ბუშის და ობამას ადმინის-ტრაციებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ისინი პოლიტიკუ-რი სპექტრის საპირისპირო პოლუსებს წარმოადგენენ. ორივე პრეზიდენტმა ბუშისა და კრახის სქემა გაიმეორა, რომელსაც ფინანსურ ბაზრებზე ვხვდებით ხშირად. ამის საფუძველზე ზოგადი თეორია ჯერ არ შემიქმნია, თუმცა ამის საშუალება, შესაძლოა, ახლა მომეცეს.

* * *

სწორედ ამასთან არის დაკავშირებული ჩემი მთავარი პრი-ორიტეტი ღია საზოგადოების ფონდებისთვის: რის გაკეთე-ბა შეგვიძლია ღია საზოგადოების შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად? ვფიქრობ, რომ ღია საზოგადოება მთელ მსოფლიოში საფრთხეშია. ცხადია, რომ ღია საზოგადოებას

საფრთხე ყოველთვის ემუქრება და ადამიანებმა მუდმივად უნდა გამოხატონ თავიანთი ერთგულება ამ იდეის მიმართ, რათა ღია საზოგადოება გადარჩეს, მაგრამ ვშიშობ, რომ ახლა უფრო ახლოს ვართ მარცხთან, ვიდრე წარსულში.

ამჯერად ამერიკის შეერთებულ შტატებზე შევჩერდები, რადგანაც მსოფლიოს ყველა კუთხის განხილვა ძალზე შორს წაგვიყვანს. შეერთებული შტატები დაარსების დღი-დან დემოკრატია და ღია საზოგადოებაა. მოსაზრება, რომ ერთ დღეს ის შეიძლება ასეთი აღარ იყოს, აბსურდულად მო-ჩანს, მაგრამ ეს პერსპექტივა სრულიად რეალურია. 11 სე-ქტემბრის შემდეგ ბუშის ადმინისტრაციამ ტერაქტებით გა-მოწვეული რეალური შიში თავისი მიზნებისთვის გამოიყენა, ტერორიზმთან ომის გამოცხადებით ქვეყანა უმაღლესი მთა-ვარსარდლის მხარდასაჭერად გააერთიანა, ყალბი საბაბით დაესხა თავს ერაყს, ხოლო ტერორისტების დევნისას ადამი-ანის უფლებების საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტები დაარღვია.

ტერორიზმთან ომმა მაიძულა, კიდევ ერთხელ დავუიქრებუ-ლიყავი ცნება „ღია საზოგადოების“ შესახებ. უფრო ადრე, ყოფილ საბჭოთა კავშირში შეძენილმა გამოცდილებამ მას-წავლა, რომ დახურული საზოგადოების ნგრევა ავტომატუ-რად ღია საზოგადოებას არ წარმოშობს. ეს ნგრევა შეიძლება, ერთი შეხედვით, უსასრულოდ გაგრძელდეს, ბოლოს კი ახალი რეჟიმი შვას, რომელიც ძველ რეჟიმს უფრო ჰგავს, ვიდრე ღია საზოგადოებას. ამჯერად უფრო ღრმად დავუიქრდი სტუ-დენტობის წლებში კარლ პოპერისგან ნასწავლ ღია საზოგა-დოების კონცენტრაციას და მასში ხარვეზი აღმოვაჩინე.

პოპერი ამტკიცებდა, რომ სიტყვის თავისუფლებისა და კრიტიკული აზროვნების შედეგი უკეთესი კანონები და რეალობის უკეთესი გააზრება იქნებოდა, ვიდრე ნებისმიერი დოგმის პირობებში იყო შესაძლებელი. მივხვდი, რომ მისი მსჯელობა უთქმელ ვარაუდს შეიცავდა, კერძოდ იმას, რომ დემოკრატიული დისკურსის მიზანი რეალობის უკეთ გააზრებაა. უეცრად დავინახე, რომ რეფლექსიურობის ჩემი კონცეფცია ეჭვქვეშ აყენებდა პოპერის ფარულ ვარაუდს. თუ აზროვნებას კოგნიტიურთან ერთად მანიპულაციური ფუნქციაც აქვს, შენთვის სასურველი კანონების მისაღებად რეალობის უკეთ გააზრება სულაც არ არის საჭირო. ამის მისაღწევად უფრო მოკლე გზაც არსებობს: არგუმენტების შერჩევითად ინტერპრეტირება და საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება სასურველი შედეგების მისაღწევად. დემოკრატიული პოლიტიკური დისკურსის ძირითადი მიზანი არჩევნების მოგება და ძალაუფლების შენარჩუნებაა. პოპერის ფარული ვარაუდი, რომ სიტყვისა და აზრის თავისუფლება რეალობის უკეთ გააზრებამდე მიგვიყვანს, მხოლოდ ბუნების მოვლენების შემთხვევაშია მართალი. ამავე ვარაუდის გავრცელება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე იმის ნაწილია, რასაც „განმანათლებლობის შეცდომას“ ვუწოდებ.

ისე მოხდა, რომ ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკურმა მუშაკებმა განმანათლებლობის შეცდომა ჩემზე ბევრად ადრე აღმოაჩინეს. ჩემნაირი ადამიანები, რომლებიც განმანათლებლობის შეცდომის მსხვერპლი იყვნენ, ფიქრობდნენ, რომ ჯორჯ ორუელის წიგნ „1984“-ში აღნერილი პროპაგანდის მეთოდები მხოლოდ დიქტატურის პირობებში იყო შედეგიანი. აღმოჩნდა, რომ მათ ჩვენზე მეტი იცოდნენ.

ცნობილი მემარჯვენე პოლიტიკური კონსულტანტი ფრენკ ლუნცი ამაყად აღიარებდა, რომ „1984“ სახელმძღვანელოდ გამოიყენა, როდესაც ეფექტიან პოლიტიკურ ლოზუნგებს ქმნიდა. კარლ როუზი, როგორც ამბობენ, ამტკიცებდა, რომ რეალობის შესწავლა არ სჭირდებოდა, რადგანაც თავად შეეძლო რეალობის შექმნა. ორუელისეული მეთოდების გამოყენებამ რესპუბლიკელების პროპაგანდისტულ მანქანას პოლიტიკურ ასპარეზზე უპირატესობა მოაპოვებინა. მეორე მხარე შეეცადა, რომ მათთვის მიებაძა, მაგრამ სიმართლის ძიებისადმი მდგრადმა მიღრეკილებამ ხელი შეუშალა ამაში.

პროპაგანდის მეთოდებმა, რომლებსაც ადამიანები გამიზნულად შეჰქავს შეცდომაში, შეიძლება ლია საზოგადოება გაანადგუროს. ნაცისტური პროპაგანდის მეთოდები ძალიან ძლიერი აღმოჩნდა ვაიმარის რესპუბლიკის დასამხობად. ეს მეთოდები ამერიკაში გადმოიტანეს და კიდევ უფრო დახვეწეს. მართალია, ამერიკაში დემოკრატიას გაცილებით ღრმა ფესვები აქვს, ვიდრე გერმანიაში ჰქონდა, მაგრამ, როგორც ბუშის ადმინისტრაციამ გვიჩვენა, მიზანმიმართული ტყუილისგან არც ის არის დაცული. აბსტრაქციის წინააღმდეგ ომის წარმოება შეუძლებელია, თუმცა ტერორიზმის წინააღმდეგ ომი დღესაც რჩება ფართოდ დამკვიდრებულ მეტაფორად.

როგორ უნდა დაიცვას ლია საზოგადოებამ თავი შეცოდმაში შემყვანი არგუმენტებისგან? ამის ერთადერთი გზა მათი არსებობისა და მათი უნარის აღიარებაა, რომ ადამიანების შეხედულებებზე ზეგავლენის გზით რეალობაზეც მოახდინონ



გავლენა. ადამიანების აზროვნება იმ რეალობის ნაწილია, რომელიც ადამიანებმა უნდა გაიაზრონ, რის გამოც რეალობის გააზრება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე განმანათლებლობის ეპოქის ფილოსოფოსებს წარმოედგინათ. მათი ხედვით გონება რეალობისგან დამოუკიდებლად არსებობს და იმ ფარანივითაა, რომელიც რეალობას ანათებს. ეს სიმართლეა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შემთხვევაში, მაგრამ არა საზოგადოებრივი პროცესებისა. უნდა ვისწავლოთ, რომ პოლიტიკურ დისკურსში უპირატესობა რეალობის შეცნობას მივანიჭოთ – კოგნიტიურ ფუნქციას და არა მანიპულაციურს. სხვა შემთხვევაში, შედეგები ჩვენი მოლოდინის შესაბამისია არ იქნება. პოპერმა მოცემულობად მიიჩნია, რომ პოლიტიკური დისკურსის მიზანი ჭეშმარიტების ძიებაა. სინამდვილეში ეს ასე არ არის, მაგრამ ჩვენი ამოცანაა, რომ ეს სინამდვილედ ვაქციოთ. ის, რაც პოპერის მსჯელობაში ფარული ვარაუდი იყო, პირდაპირ მოთხოვნად უნდა ვაქციოთ, რათა ღია საზოგადოებამ გაიმარჯვოს.

ვფიქრობდი, რომ დამაჯერებელი არგუმენტი მქონდა ღია საზოგადოების სასარგებლოდ. შეხედეთ ბუშის პოლიტიკის შედეგებს: მისი მიზანი იყო ამერიკის უპირატესობის დემონსტრირება, მაგრამ სრულიად საპირისპიროს მიაღწია – ამერიკის ძალა და გავლენა მკვეთრად შემცირდა. ჩემი აზრით, ეს იმის დასტური იყო, რომ შეხედულებებით მანიპულირება საკმარისი არ არის და უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ არის მსოფლიო მოწყობილი სინამდვილეში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კოგნიტიურ ფუნქციას უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს მანიპულაციურ ფუნქციასთან შედარებით. ეს დამატებითი მოთხოვნაა, რომელიც ღია საზოგადოების ჩემს დეფინიციაში

შევიტანე. სამწუხაროდ, ამის თქმა უფრო იოლი იყო, ვიდრე გაკეთება და ჩემმა თითქოსდა უნაკლო არგუმენტმა საზოგადოების განწყობა ვერ შეცვალა. პრეზიდენტი ბუში 2004 წელს მეორე ვადით აირჩიეს.

2008 წელს პრეზიდენტ ობამას არჩევა მსოფლიოსთვის მძლავრი გზავნილი იყო, რომ აშშ-ს მკვეთრად შეუძლია თავისი კურსის შეცვლა, როდესაც ხედავს, რომ მცდარ გზას ადგას. თუმცა, ეს ცვლილება დროებითი აღმოჩნდა: მისი არჩევა და ინაუგურაცია მისი პრეზიდენტობის ზენიტი იყო. ჯერ კიდევ პრეზიდენტ ბუშის მეორე ვადით არჩევისას დავრწმუნდი, რომ ამერიკული საზოგადოების პრობლემა მხოლოდ მისი ლიდერები არ იყვნენ. ამერიკულ საზოგადოებას არ სურდა პირქუში რეალობისთვის თვალის გასწორება და პირდაპირ უბიძებებდა თავის ლიდერებს ტყუილისკენ, რადგანაც მათგან იოლ პასუხებს ითხოვდა რთულ პრობლემებთან გასამკლავებლად.

ეს შეხედულება გამიმყარა იმან, თუ როგორ წარიმართა ობამას პრეზიდენტობა. ობამა პრეზიდენტი ფინანსური კრიზისის პერიოდში გახდა, რომლის მასშტაბიც ადამიანების უმრავლესობას, მისი ჩათვლით, არ ესმოდა. თუმცა იმას კი მიხვდა, რომ ამერიკულ საზოგადოებას პირქუში რეალობის დანახვა არ სურს, თანაც საკუთარი ქარიზმისა მტკიცედ სწამდა. მას ასევე სურდა პარტიულ ინტერესებზე მაღლა დადგომა და, როგორც თავის საარჩევნო გამოსვლებში ამბობდა ხოლმე, ამერიკის „შეერთებული“ შტატების პრეზიდენტად გახდომა. ამიტომაც, მისი წინამორბედი ადმინისტრაციისთვის რამის დაპრალება არ უნდოდა და ყველანაირად ცდი-

ლობდა კრიტიკისა და კონფლიქტის თავიდან აცილებას. მან მიმართა მეთოდს, რომელსაც აკერლოფმა და შილერმა „ნდობის მულტიპლიკატორი“ უწოდეს თავიანთ გავლენიან წიგნში „ცხოველების სულები“. ამიტომაც იმდროინდელი ეკონომიკური მდგომარეობის რეალურზე გაცილებით ოპტიმისტური სურათი დახატა იმ იმედით, რომ რეცესიის შერბილებას შეძლებდა. ამ ტაქტიკის წყალობით რეცესია იმაზე უფრო ხანმოკლე და ზედაპირული გამოდგა, ვიდრე სხვა შემთხვევაში იქნებოდა, მაგრამ ამავე ტაქტიკას კატასტროფული პოლიტიკური შედეგები ჰქონდა. ნდობის მულტიპლიკატორი, სინამდვილეში, რეფლექსიური უკუკავშირის უწყვეტი პროცესის ერთი ნაწილია: ადამიანების შეხედულებებზე პოზიტიურ გავლენას შეიძლება პოზიტიური უკუკავშირიც ჰქონდეს ძირულ რეალობასთან. თუ რეალობა მოლოდინის შესაბამისი არ აღმოჩნდა, ნდობა იმედგაცრუებად და ბრაზად გარდაიქმნება. ეს რეფლექსიური უკუკავშირის პროცესის მეორე ნაწილია და ყველაფერი სწორედ ასე მოხდა.

ელექტორატმა ობამას რეცესიის შერბილება არ დაუფასა, რადგანაც არ იცოდა, თუ რა გააკეთა მან. კონფლიქტისთვის თავის არიდებით ობამამ ინიციატივა ოპოზიციას დაუთმო, ხოლო ოპოზიციას თანამშრომლობის მოტივაცია არ ჰქონდა. რესპუბლიკელების პროპაგანდამ ხალხი დაარწმუნა, რომ ფინანსური კრიზისი მთავრობის წარუმატებლობის შედეგი იყო და არა ბაზრის წარუმატებლობისა. რესპუბლიკელების ნარატივის თანახმად, მთავრობის ნდობა არ შეიძლება და ეკონომიკაში მისი როლი, რომელიც რეგულირებასა და გადასახადების დაწესებას მოიცავს, მინიმუმამდე უნდა შევამციროთ.

რესპუბლიკულებს სერიოზული მიზეზი ჰქონდათ, რომ ეს ხაზი აერჩიათ: ეს იყო ნახევარსიმართლე, რომელიც მათ პოლიტიკური მიზნების მიღწევაში უწყობდა ხელს. გასაკუვირი მხოლოდ მათი წარმატების მასშტაბია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ორუელისეული ახალმეტყველების ძალაა, ასევე საზოგადოების მიღრეკილება, რომ პირქუშ რეალობას თვალი არ გაუსწოროს.

ერთი მხრივ, ახალმეტყველებისთვის წინააღმდეგობის გაწევა ძალზე ძნელია, რადგანაც ის თავისთავად წინააღმდეგობრივია, ისევე როგორც, მაგალითად, „ფოქს ნიუსი“, რომელიც საკუთარ თავს სამართლიანს და დაბალანსებულს უწოდებს. კიდევ ერთი ხრიკი მოწინააღმდეგის დადანაშაულებაა ისეთ ქმედებაში, რომელსაც თავად სჩადიხარ. ასე მაგალითად, „ფოქს ნიუსი“ ბრალს მდებს, რომ მედიამპერიას ვაკონტროლებ. დაოსტატებულ პრაქტიკოსებს იერიში ყოველთვის ოპონენტის ყველაზე ძლიერ წერტილზე მიაქვთ, როგორც, მაგალითად, მაშინ, როდესაც ორგანიზაცია „სვიფტბოუტმა“ ჯონ კერის, როგორც ვიტენამის ომის ვეტერანის, დამსახურება დააყენა ეჭვევეშ. ფაქტებით თავს ვერ დაიცავ, ხოლო ბრალდების უარყოფისას კიდევ ერთხელ იმეორებ მას. ამავე დროს, ბრალდების იგნორირება შეიძლება ძალზე ძვირად დაგიჯდეს, როგორც ჯონ კერის შეემთხვა 2004 წლის არჩევნების დროს.

მეორე მხრივ, ჭეშმარიტების დადგენის მცდელობაში მიმზიდველობა დიდწილად დაკარგა. როდესაც რეალობა უსიამოვნოა, ილუზიები მისგან თავის დაღწევის მიმზიდველი გზაა. ძნელბედობის უამს, უპრინციპო მანიპულატორები უპი-

რატესობას ფლობენ იმათთან შედარებით, ვინც რეალობისთვის თვალის გასწორებას ცდილობს. ვაიმარის რესპუბლიკაში ნაცისტების პროპაგანდამ წარმატებას იმიტომ მიაღწია, რომ საზოგადოება ომში განცდილი მარცხით დამცირებული და უკონტროლო ინფლაციით დეზორიენტირებული იყო. ამერიკულმა საზოგადოებამ გარკვეულწილად მსგავსი რამ გამოიარა, როდესაც ჯერ 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტებმა აგრძნობინა სიკვდილის შიში, ხოლო შემდეგ ფინანსურმა კრიზისმა მატერიალური გაჭირვებაც მოიტანა და შეერთებული შტატების, როგორც მსოფლიოს დომინანტი სახელმწიფოს, დამასვლაც დაადასტურა. რადგანაც შეერთებული შტატების დამასვლა და ჩინეთის აღმავლობა ერთსა და იმავე დროს მიმდინარეობს, ძალაუფლებისა და გავლენის მხრივ მომხდარი ძვრა მართლაც დრამატულად გამოიყურება.

ეს ორი ტენდენცია – პირქუში რეალობისთვის თავის არიდების სურვილი და ტყუილის მეთოდების დახვეწა – ჯამში იმის მიზეზია, რომ ამერიკა ღია საზოგადოების მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებს. როგორც ჩანს, საზოგადოება წარმატებული უნდა იყოს, იმისათვის, რომ ღიად დარჩეს.

რის გაკეთება შეგვიძლია, რომ ამერიკაში ღია საზოგადოება შევინარჩუნოთ და გავაძლიეროთ? პირველ რიგში, კარგი იქნება, თუ საზოგადოება იმუნიტეტს გამოიმუშავებს ახალმეტყველების მიმართ. იმას, ვისაც ის ნაცისტების ან კომუნისტების მმართველობისას გამოუცდია საკუთარ თავზე, მასზე ალერგიული რეაქცია აქვს, მაგრამ ფართო საზოგადოება მეტად დაუცველია.

ამასთან, მსურს ამერიკული საზოგადოება დავარწმუნო, რომ პირქუში რეალობისთვის თვალის გასწორება სასარგებლო იქნება. ბედმა გამიღიმა, რომ ნაცისტურ ოკუპაციას არათუ გადავურჩი, არამედ იქიდან გამარჯვებულიც გამოვედი: მამაჩემმა სხვა ადამიანებისთვის დახმარების გაწევა შეძლო, მეკი მას ვეხმარებოდი. ამის წყალობით, პირქუშ რეალობასთან შევჯახება და თითქოსდა გადაუჭრელ პრობლემებთან შეჭიდება მიყვარს. „ფოქს ნიუსის“ ხელმძღვანელებმა, რუპერტ მერდოქმა და როჯერ აილსმა, სწორად გამომარჩიეს, როგორც მათი მოწინააღმდეგე. თუმცა, მეთოდები, რომლებსაც ჩემზე თავდასხმისთვის იყენებენ, ნაკლებ შედეგიანი აღმოჩნდა: მათი ტყუილი გამუღავნდება და არც მათი მეთოდები იქნება წარმატებული.

თუმცა, პოლიტიკური დისკურსის ხარისხის გაუმჯობესება საკმარისი არ არის. ასევე უნდა მივაგნოთ საჭირო პოლიტიკასაც ჩვენი ქვეყნის რეალურ პრობლემებთან, უმუშევრობის მაღალ მაჩვენებელთან და ქრონიკულ საბიუჯეტო და სავაჭრო დეფიციტებთან გასამკლავებლად. შტატებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების დაფინანსება კრახისკენ მიიწევს. რესპუბლიკულებმა დღის წესრიგზე კონტროლის მოპოვება შეძლეს და მცდარ მოსაზრებას ამკვიდრებენ, რომლის თანახმად ყველაფერი მთავრობის ბრალია. დემოკრატები იძულებული არიან, რომ უიმედო პრძოლაში ჩაებან და სიმართლის მეორე ნახევარი დაიცვან.

საჭიროა მდგომარეობის ხელახლა და საფუძვლიანად გააზრება და, ასევე, იმის აღიარებაც, რომ ნახევარსიმართლეს ყოველთვის შეცდომისკენ მივყავართ. ის, რომ შენი ოპონენ-



ტი ცდება, არ ნიშნავს, რომ თავად მართალი ხარ. უნდა შევე-
გუოთ იმ ფაქტს, რომ არსებითად არასრულყოფილ საზოგა-
დოებაში ვცხოვრობთ, სადაც სრულყოფილებას ვერც ბაზარი
მიაღწევს და ვერც მთავრობის რეგულაციები. ჩვენი ამოცანა
ის არის, რომ ნაკლოვანებები შევამციროთ, რათა კერძო
საწარმოებმაც და მთავრობამაც უკეთ იმუშაონ. მაგრამ ვინ
შექმნის ასეთ დღის წესრიგს? სწრედ ამ გზავნილის მიტანა
მინდა როგორმე საზგადოებამდე.

20

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი დის საზოგადოებრივი საქართველო